87 წელი თქვენთან ერთად!

87 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი. გამოცემის 88-ე წელი.



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №11-12 {7017} 10 ივნისი 2020 წელი • www. Terjola. gov. ge

სამაგალითო გაკვეთილები წარსულიდან...

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე—26 მაისი, კორონავირუსული ჟამიანობის გამო წელს საკმაოდ მოკრძალებულად აღინიშნა. იმდენად მოკრძალებულად, რომ ეროვნული დროშებიც არ გამოფენილა ჩვენი ქალაქების ქუჩებში... მართლაც არ გვეზეიმებოდა, მაგრამ ამ დღეს, ანუ 1918 წლის 26 მაისს (საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე), მისი წინა პერიოდის და საქართველოს დამოუკიდებლობის შემდგომი სამწლიანი ისტორიის შეხსენება ყველა ჩვენგანისათვის არასოდეს არ იქნება ზედმეტი, პირიქით—ეს წლები ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ წარმატებით იბრძოდა და ატარებდა იმდროისათვის მსოფლიო მასშტაბით მისაბაძ რეფორმებს ახალი ქართული დემოკრატიული რესპუბლიკა (გვ. 6-7).

თერჯოლის მუნიციპალიტეტი საგანგებო მდგომარეობის შემდეგ...

კორონავირუსული პანდემიის გამო ქვეყანაში გამოცხადებული ორთვიანი საგანგებო მდგომარეობა 23 მაისს დასრულდა. ასევე კარანტინი მოიხსნა სოფელ ღვანკითში, სადაც საკუთარ ოჯახში დაბრუნდა განკურნებული დაინფიცირებული ბოლო პაციენტი.

მუნიციპალიტეტის ცხოვრება, ისე როგორც მთელ ქვეყანაში, ეტაპობრივად უბრუნდება ჩვეულ რიტმს. ანტიკრიზისულ პროგრამაში გაწერილ ვადებთან შედარებით, რიგ შემთხვევებში, სხვადასხვა დარგებსა და სფეროებში უფრო ადრე იხსნება დაწესებული შეზღუდვები.

აღდგა მუნიციპალური ტრანსპორტის მუშაობა, საქალაქთაშორისო მიმოსვლა და ბევრი სხვა. ☞2



„ვინც საქმეს ვერ გააკეთებს, თანამდებობაზეც ვერ გავაჩერებთ“ ☞2



უცნაური სასწავლო წელი და ჩუმი ბოლო ზარი...

რას ითვალისწინებს განათლების ანტიკრიზისული გეგმა ☞8

ანტიკრიზისული გეგმა—ზრუნვა სოფელზე და ფერმერებზე

ახალი სახელმწიფო პროგრამა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირება“

ამ გეგმის ფარგლებში საქართველოს მთავრობამ მიიღო სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მომზადებული ახალი სახელმწიფო პროგრამა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირება“. ამ პროგრამის სრულ ვერსიას (გარდა დაზღვევის კომპონენტისა — მომავალ ნომერში) გთავაზობთ ჩვენი გაზეთის მე-4 და მე-5 გვერდებზე.

ქ. თერჯოლა, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორია, „სუპერაგრო“—მაღაზია, სადაც შეგიძლიათ აგრობარათით შეიძინოთ თქვენთვის სასურველი სასოფლო-სამეურნეო საქონელი. ასეთ მომსახურებას ასევე გაგიწევთ სოფ. ეწრის შესასვლელში მდებარე მაღაზია.

მომავალ ნომერში

კორონავირუსი და „თერჯოლამედიხ“ ინფექციური განყოფილება

გვესაუბრება განყოფილების ხელმძღვანელი, ექიმი-ინფექციონისტი მამუკა აბულაძე

„ვინც საქმეს ვერ გააკეთებს, თანამდებობაზეც ვერ გავაჩერებთ“

„გამარჯობათ, მე „თერჯოლის“ რედაქტორი დავით კლდიაშვილი ვარ“—ამ სიტყვებით მივმართე პირველი შეხვედრისას ჩემთვის უცნობ ადამიანს, ახალგაზრდა კაცს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს, ლაშა გოგიაშვილს. შეხვედრისას ხელის ჩამორთმევა მოვიწადინეთ, მაგრამ ახლადდაწესებული აკრძალვების გამო ეს ჟესტი სამომავლოდ გადავდეთ და ერთანეთსაც მოვუბოდიშეთ.

რაიონის ახალ ხელმძღვანელზე, მის ღირსებებზე საკმარისი ინფორმაცია მქონდა და არც გამკვირვებია, ძალზე გულთბილად რომ შემხვდა. მასთან სამუშაო გარემოში და დისტანციურ რეჟიმში საუბარს ჩვენთვის არანაირი პრობლემა არ შეუქმნია, რომ შეზღუდულ დროში ბევრი გვეთქვა ერთმანეთისათვის.

ჩვენი პირველი შეხვედრის შემდეგ, კორონავირუსულ რეჟიმში მუნიციპალიტეტის ცხოვრების თითქმის ორ თვეზე მეტი გავიდა. ამ მოკლე დროში ლაშა გოგიაშვილმა საკუთარ თავზე, ჩვენთან ერთად გადაიტანა ყველასათვის უჩვეულო პანდემიის ამბები, ღვანკითის კარანტინი, რომ იტყვიან ფეხი-ფეხზე შემოიარა მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელი. ალბათ ამ შემოვლებისა და შეხვედრების დროს ბევრი მოსაწონიც ნახა და ბევრიც დასაწუნი. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მარტო ადგილებზე არსებულ იმ მდგომარეობას არ ეხება, რაც ვიზუალურად იხილა...

უკვე ორჯერ ვესწრებოდი ახალი ხელმძღვანელის თავკაცობით ჩატარებულ ტრადიციულ გაფართოებულ თათბირს და ბუნებრივია, სკრუპულოზურად ვაკვირდებოდი მის რეაქციებს თათბირის ყოველი მონაწილის თითოეულ ინფორმაციაზე, დასმულ საკითხებსა თუ გაცხადებულ თხოვნა-მოთხოვნებზე.

ჩემი არც თუ იშვიათი დაკვირვების პრაქტიკამ მიკარნახა, რომ მერი სწორად აფასებს მისი ქვეშევრდომების აზროვნების ლოგიკურობას, ადგილებზე არსებული მდგომარეობის ხედვის და შეფასების, დასკვნების ზუსტად გაკეთების უნარს, რაც რიგ შემთხვევაში, ზოგიერთი საჯარო მოხელის მხრიდან, შეიძლება საკმარის შესაბამისობაში არ იყოს დადგენილ თუ სასურველ სტანდარტებთან.

პირველივე თათბირზე მიღებული ეს შთაბეჭდილება განსაკუთრებით გამიძლიერდა მეორე თათბირზე დასწრებით, სადაც ახალი ხელმძღვანელისაგან საკმაოდ მწვავე მინიშნებები გაკეთდა იმ თანამშრომელთა მისამართით, რომლებიც ასე ვთქვათ, ელემენტარულად მოიკოჭლებენ პასუხისმგებლობაში, არ ავლენენ ინიციატივებს, მოსახლეობაში ვერ ეწევიან დამაჯერებელ განმარტებით მუშაობას.

„ვინც საქმეს ვერ გააკეთებს, თანამდებობაზეც ვერ გავაჩერებთ“—საკმაოდ მყარად და მწვავედ განაცხადა მან მეორე ხალხმრავალ თათბირზე.

2 აპრილს, პირველი შეხვედრისას ბატონ ლაშასთან შევთანხმდით, რომ მოკლე დროში (მხედველობაში გვქონდა დანიშვნიდან სამთვიანი სტანდარტული, უფრო ზუსტად 100 დღიანი პერიოდი—ანუ ივლისის თვე-რედ.). იგი „თერჯოლას“ ექსკლუზიურ ინტერვიუს მისცემდა მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალურ თემებზე.

იმედს ვიტოვებთ, რომ ამ მოკლე დროში, მიუხედავად პამდენიური ავჟამიანობისა რაიონში ბევრი კარგი საქმეც დაიწყება და ბევრიც გაკეთდება. ამაზე კარგად მეტყველებს კიდეც ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა განხორციელება უკვე აქტიურდ მიმდინარეობს მუნიციპალიტეტში.

წარმატებები ვუსურვოთ მუნიციპალიტეტის ახალ ხელმძღვანელს ამ მეტად რთული და საპატიო მოვალეობის შესრულებაში.

ასევე იმედი დავიტოვოთ, რომ ახალ ხელმძღვანელს მერიის სამსახურები აქტიური მხარდაჭერითა და დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე პასუხისმგებლობის უმაღლესი დონით უპასუხებენ, რაც სასურველი შედეგების მიღწევის მნიშვნელოვანი ფუნდამენტი იქნება.

დ. კლდიაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარის, **ნინო ჯანელიძის** ხელმძღვანელობით მორიგი სხდომა გაიმართა.

დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 8 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანა.

ცვლილება გამოწვეული იყო მერიის დამტკიცებულ დებულებაში გამოვლენილი ხარვეზის გამო, რომელიც სამართლებრივი ექსპერტიზით დაადგინა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტების საკრებულოების საქმიანობაზე სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველომ.

საქართველოს კანონში 2020 წლის 24 თებერვლიდან შეტანილი ცვლილება, ამავე პერიოდიდან, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები ჩაითვალნენ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად და შესაბამისად არ არიან უფლებამოსილნი, განახორციელონ „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობის უფლებამოსილებები.

ამავე სხდომაზე დეპუტატებისაგან მხარადაჭერილია სოფელ ჭოგნარში, ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში აღებული 19 მ2 არასცხოვრებელი ფართის ქირავნობის წესით გაცემა.

სხდომას მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტი საგანგებო მდგომარეობის შემდეგ...

1☞

ჩვენი მედიკოსების, პოლიციელების, ჯარისკაცების, უმეტესი არაერთი ჩინიანი თუ უჩინოს, ჩვენი რიგითი მოქალაქეების დიდი ძალისხმევით პანდემიის ქართული ფორმატი და მიღწეული შედეგები სანიმუშოდ გამოიყურება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. თუმც, ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ საფრთხეები აღმოფხვრილია. პირიქით, ახალი ვირუსის შემოტევის საშიშროება კვლავ მაღალია. მაგალითისათვის, ჩვენი მეზობელი სომხეთის რეალობაც საკმარისია. იქ, რომ იტყვიან, ეპიდემია მძვინვარებს—დაავადებულთა რაოდენობამ სომხეთში 8 ივნისისათვის უკვე 13000 გადააჭარბა, გარდაცვლილთა რაოდენობამ კი ორასს. როგორც საინფორმაციო წყაროებიდან შევიტყვეთ, მარტო წინა კვირის ერთ-ერთ დღეს, სომხეთში, 697 ახალი დაინფიცირებული გამოვლინდა, რაც თითქმის იმდენია, თებერვლიდან დღემდე, ჯამურად მთელს საქართველოში რომ დაფიქსირდა. მკითხველს აქვე შევახსენებთ, რომ საქართველოში ასევე ბევრად ნაკლებია გარდაცვლილთა რაოდენობაც და იგი 13 მოქალაქეს არ აღემატება, გამოჯამრთელებულთა რაოდენობა კი 80%-ზე მეტია.

ასეთი მაჩვენებლების ფონზე და ჯერ კიდევ არსებული მაღალი რისკების გამო, ქართული სინამდვილისათვის—ჩვენი მოქალაქეების, მედიკოსების, მთავრობის და სახელისუფლებო სტრუქტურებისათვის იმედია პანდემიის თემა ყოველთვის იქნება მაღალპასუხისმგებლური ინტერესებისა და მოქმედებების არეალში.

აღნიშნულის პარალელურად, ბევრია გასაკეთებელი უკვე გაცხადებული სამთავრობო სხვადასხვა ანტიკრიზისული პროგრამების განსახორციელებლად, რასაც ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

ამ მხრივ, პარალელურ რეჟიმში, როგორც მთელ ქვეყანაში, ისე თერჯოლის მუნიციპალიტეტშიც ბევრი სხვადასხვა პროგრამული ღონისძიებაა გასატარებელი. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ვალდებულებებს, რომლებიც ჯერ კიდევ წლის საწყის ეტაპზე, ჩატარებული ტენდერების და გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოეშვა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

ჩვენი გაზეთის ამ ნომერში სწორედ ამ პროექტების განხორციელების თაობაზე მოგითხრობთ, რაც სულ უფრო და უფრო შედის აქტიურ ფაზაში. პროექტების განხორციელების მიმდინარეობა მერიის, მისი სამსახურების, საკრებულოს და მისი დეპუტატების, პირადად მერის მოვალეობის შემსრულებლის ლაშა გოგიაშვილის, მოადგილის მანუჩარ რობაქიძის, საკრებულოს თავმჯდომარის, ნინო ჯანელიძის მუდმივი ყურადღების ქვეშაა, რაც იმის წინაპირობას იძლევა, რომ ყველა პროექტი განსაზღვრულ დროში და მაღალხარისხოვნად შესრულდება.

დ. შალიკაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **ნინო ჯანელიძემ**, მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა **ლაშა გოგიაშვილმა,** მერის მოადგილე **მანუჩარ რობაქიძემ** და ალისუბნის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ბადრი ბუცხრიკიძემ** ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ალისუბანსა და რუფოთში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი განახორციელეს.

ალისუბანი-სკანდის დამაკავშირებელ გზაზე ბეტონის საფარით მოწყობა სრული დატვირთვით მიმდინარეობს. სამუშაოებს რეგიონული განვითარების ფონდიდან, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, გამოყოფილი 315 790 ლარით, ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „მეკა“ აწარმოებს. პროექტი გარდამავალია და საერთო ჯამში 1, 7 კმ გზის მოწყობაზე 531 790 ლარი დაიხარჯება. ასევე, გარდამავალია პროექტი რუფოთი-ჩხარის დამაკავშირებელ გზაზე, სადაც ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ჯეო როუდ ინვესტი“ გზის 1, 5 კმ-იან მონაკვეთს მოაწყობს არმირებული ბეტონითა და სანიაღვრე არხებით, რაზეც საერთო ჯამში 639 438 ლარია გათვალისწინებული.

* * *

აქტიურ ფაზაშია ქ. თერჯოლაში, გოფანმთის ეკლესიასთან მისასვლელი გზისა და სოფ. რუფოთი-ჩხარის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

„თერჯოლაში გოფანმთის ეკლესიისკენ მიმავალი გზის პროექტი 2 კილომეტრიანი მონაკვეთის არმირებული ბეტონის საფარითა და გზის საყრდენი კედლების მოწყობას ითვალისწინებს. პროექტი გარდამავალია და საერთო ჯამში 650 000 ლარის მოცულობის სამუშაოები ჩატარდება, რომელსაც ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „მეკა“ შეასრულებს. ასევე გარდამავალი ☞3

თერჯოლის მუნიციპალიტეტი საგანგებო მდგომარეობის შემდეგ...

2 ☞

პროექტი დაიწყო რუფოთი-ჩხარის დამაკავშირებელ გზაზე, სადაც ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ჯეო როუდ ინვესტი“ გზის 1, 5 კმ-იან მონაკვეთს მოაწყობს არმირებული ბეტონითა და სანიაღვრე არხებით, რაზეც საერთო ჯამში 639 438 ლარი დაიხარჯება. ორივე პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინასებით ხორციელდება“, – განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა სამუშაოების მორიგი მონახულებისას.

* * *

განახლდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქვედა სიმონეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის არმირებული ბეტონით მოწყობის სამუშაოები.

პროექტი, რომელიც რეგიონული განვითარების ფონდიდან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით სრულდება, გარდამავალია და საერთო ჯამში სოფელ ქვედა სიმონეთში 6 კმ-ზე მეტი გზა რეაბილიტირდება.

სამუშაოებს, რომლის ღირებულებაც 1,364,395 ლარია, ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „მიმდემი“ ანხორციელებს. ამჟამად სამუშაოები ჩიხლაძეების უბანში მიმდინარეობს. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ლაშა გოგიაშვილმა მიმდინარე სამუშაოები, მოადგილე მანუჩარ რობაქიძესა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ადგილზე დაათვალიერა. ასევე მშენებელი კომპანიის წარმომადგენლებისაგან მიიღო დეტალური ინფორმაცია პროექტისა და ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების დაცვის შესახებ.

იმავე დღეს, ლაშა გოგიაშვილმა ქვედა სიმონეთი-ნავენახევის დამაკავშირებელი გზის დაზიანებული მონაკვეთი დაათვალიერა და ადგილობრივებს პრობლემის მოგვარების პირობა მისცა.

„ქვედა სიმონეთში, დავათვალიერეთ პროექტი, რომლის ფარგლებშიც სოფელში 6 კმ. გზა მოეწყობა. ასევე დავათვალიერეთ გზის პრობლემური უბანი, რომელიც შეკეთების მიუხედავად, კვლავ დაზიანებულია. მუნიციპალიტეტის მოსახლეობას აწუხებს გზების პრობლემა, რის გამოც, მიმდინარე წელს, საგზაო ინფრასტრუქტურა-სოფლებთან მისასვლელი და შიდა-საუბნო გზების რეაბილიტაცია ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება“, – განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა.

* * *

„თერჯოლას მოვლა-პატრონობა სჭირდება, ქალაქში არსებულ სხვადასხვა დანიშნულების საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურას—განახლება და რეაბილიტაცია. ჩვენ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ, მოსახლეობასთან ერთად, უნდა მოვაწესრიგოთ, მოვუაროთ და მომავალ თაობებს გადავცეთ უფრო უკეთესი ჩვენი ქალაქი“,— განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა.

პროექტი, რომელიც რეგიონული განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხით-848 800 ლარით ფინანსდება, ითვალისწინებს ოთხი ლოკაციის კეთილმოწყობას: რუსთაველის ქ №114 მიმდებარედ არსებული სკვერი, რუსთაველის ქუჩაზე არსებული გმირთა მემორიალი, რუსთაველის ქ. №109, მერიის მიმდებარე და დავით კლდიაშვილის სკვერის ტერიტორია. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ჯორჯიან სტოუნი“ ასრულებს. სამუშაოები ახალი დაწყებულია და ინტენსიურად მიმდინარეობს.

ამასთან, კეთდება ბეტონის ღობეები რუსთაველის ქუჩის ერთ მონაკვეთზე.

* * *

ნახშირღელეში მიმდინარეობს ხუჯაძეები - ჩუნიბიძეების უბნის ცენტრალურ გზასთან დამაკავშირებელი მონაკვეთის მოწყობა. გარდამავალი პროექტი არმირებული ბეტონის საფარით, სანიაღვრე არხებით და 50 მ. სიგრძის საყრდენი კედლით გზის 1, 8 კმ -იანი მონაკვეთის მოწყობას ითვალისწინებს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ლაშა გოგიაშვილი ნახშირღელეში, მერის წარმომადგენელ მაია გაბიძაშვილსა და საკრებულოში სოფლის დეპუტატ ლაშა ლანჩავასთან ერთად, მიმდინარე სამუშაოებსა და პროექტის შესახებ დეტალურ ინფორმაციას გაეცნო.

„გზა ამ უბანში კეთდება პირველად, რაზეც საერთო ჯამში დაიხარჯება 688 000 ლარი. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „გი-ან 2011“ ასრულებს. ეს გზა, რომელიც სოფლის მჭიდროდ დასახლებულ უბანს ცენტრალურ გზასთან აკავშირებს, იყო ამორტიზებული, რის გამოც გაძნელებული იყო გადაადგილება და მის რეაბილიტაციას ითხოვდა ადგილობრივი მოსახლეობა“,—განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა.

* * *

2020 წელს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, თერჯოლის მუნიციპლიტეტში 108 პროექტის განხორციელებისათვის 690 000 ლარია განსაზღვრული. გოდოგნის ადმინისტრაციულ ერთეულში კი 13 პროექტისათვის 54 000 ლარი დაიხარჯება.

გოდოგანში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ლაშა გოგიაშვილმა, მოადგილე მანუჩარ რობაქიძესა და მერის წარმომადგენელ გურამ ცირეკიძესთან ერთად, გოდოგანში, კერძოდ, ქვაშავას უბანში, მიმდინარე გზის ბეტონით მოწყობის სამუშაოები დაათვალიერა.

„გოდოგნის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, 13 პროექტი განხორციელდება, აქედან 4 სხვადასხვა უბანში გზის ბეტონის საფარით მოწყობას ითვალისწინებს. მნიშვნელოვანია, რომ ეს პროექტები თავად მოსახლეობამ შეარჩია“, - განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 თებერვლის N390 განკარგულების მიხედვით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, აღნიშნულ სამუშაოებს კონტრაქტორი ორგანიზაცია შპს „ჯეო ბილდი“ შეასრულებს.

* * *

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ლაშა გოგიაშვილი, მოადგილე მანუჩარ რობაქიძესთან ერთად, კვახჭირის ადმინისტრაციულ ერთეულში იმყოფებოდა.

ხელმძღვანელმა პირებმა, კვახჭირში, მერის წარმომადგენელ რომან მამრიკიშვილსა და დეპუტატ მირზა აფრიდონიძესთან ერთად, სოფელ სარბევში, ე.წ. მექკოლონის დასახლებაში გზის ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები დაათვალიერეს, რომელიც „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შპს „ჯეო ბილდის“ მიერ სრულდება.

* * *

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ლაშა გოგიაშვილმა, მოადგილე მანუჩარ რობაქიძესთან, ჩხარში, მერის წარმომადგენელ ვასილ ფანჩულიძესა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს თერჯოლის რეგიონული სამსახურის წარმომადგენელ რევაზ ჭუმბურიძესთან ერთად, ჩხარის ადმინისტრაციულ ერთეულში სახელმწიფო პროგრამის —„დანერგე მომავლის“ ფარგლებში გაშენებული ჟოლოს ბაღები დაათვალიერა, ასევე ფერმერებს მთავრობის ახალი ინიციატივების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

„თერჯოლის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს, აღნიშნულ სახელმწიფო პროგრამაში, უკვე 15 ადგილობრივია ჩართული, კენკროვანი კულტურა, კერძოდ ჟოლო და მაყვალი 3 ჰექტარზე მეტ ფართობზე გაშენდა. აღსანიშნავია, რომ დღეიდან, სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართული პირები სახელმწიფოსგან მნიშვნელოვან მხარდაჭერას მიიღებენ. გაზრდილია სახელმწიფოს მხრიდან საკრედიტო და საგრანტო დახმარების მოცულობა, ტექნიკური დახმარება და სხვა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია როგორც სოფლის, ისე ქვეყნის გაძლიერებისათვის. დახმარებების პაკეტი, ფაქტობრივად, გათვლილია ყველა იმ ადამიანზე, ვინც სოფლად ცხოვრობს და საქმიანობს“.

* * *

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ლაშა გოგიაშვილი, მოადგილე მანუჩარ რობაქიძესთან ერთად, ძევრის ადმინისტრაციულ ერთეულში იმყოფებოდა.

ლაშა გოგიაშვილმა სოფლის ცენტრი დაათვალიერა, რომელსაც გასულ წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა. ასევე, ძევრში, მერის წარმომადგენლის ფრიდონ კუტალაძისა და დეპუტატ გია ბარათაშვილისგან სოფლის პრობლემები მოისმინა და მოგვარებაში დახმარებას დაპირდა.

„იმისათვის, რომ სოფელი უფრო კეთილმოწყობილი გახდეს, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით აღვადგენთ 9 აპრილის მემორიალს, ადმინისტრაციულ შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე კი ბეტონის მოწყობა იგეგმება. ასევე დავათვალიერეთ საგზაო ინფრასტრუქტურა, რომლის მოწესრიგებაც, განსაკუთრებით კი შიდა საუბნო გზები, მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარე პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება. ძევრში, კერძოდ სეფარეთში, მნიშვნელოვანი პრობლემა გაზიფიცირების საკითხია. მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ეს ერთადერთი სოფელია, სადაც პრობლემურია სოფლამდე გაზის მიყვანა, თუმცა ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით, საპროექტო სამუშაოები უკვე დაიწყო, რაც წინგადადგმული ნაბიჯია გაზიფიცირების პრობლემის მოსაგვარებლად. მუნიციპალიტეტის არც ერთი სოფელი არ უნდა იყოს გზის, წყალისა და ბუნებრივი აირის გარეშე“, – განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა.

* * *

გოგნში, თერჯოლის ყველაზე მაღალმთიან სოფელში, მოსახლეობის მიგრაციის შესაჩერებლად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საყოფაცხოვრებო პირობების მოგვარება. აქ, წლების მანძილზე, იდგა გაზიფიცირების პრობლემა, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით მოგვარდა. ბუნებრივ აირს ახლო მომავალში მიიღებს მთელი სოფელი. ამ ეტაპზე, ტენდერში გამარჯვებული კომპანიის „ბილდინგ დეველოპერის“ მიერ, დასრულების ეტაპზეა ცენტრალური მაგისტრალისა და გაზგაყვანილობის გარე ქსელის მოწყობის სამუშაოები, რაზეც ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი 835 ათასი ლარი დაიხარჯება. ლაშა გოგიაშვილმა სოფელში მერის წარმომადგენლის დავით რობაქიძისა და დეპუტატის დავით ისაკაძისაგან მოისმინა მოსახლეობისათვის აქტუალური პრობლემები, დაათვალიერა საჯარო სკოლის, საბავშვო ბაღის, ამბულატორიისა და ადმინისტრაციული შენობები, ასევე-სოფლის ცენტრიდან გოგნის კარუგდებლისაკენ მიმავალი გზა, რომელიც რეაბილიტაციას საჭიროებს და ადგილობრივებს პრობლემების მოგვარების პირობა მისცა. იმავე დღესვე, მერის მოვალეობის შემსრულებელი ლაშა გოგიაშვილი და მოადგილე მანუჩარ რობაქიძე ზედა სიმონეთში იმყოფებოდნენ, სადაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის, სოფლის კლუბის სცენის რეაბილიტაცია იწყება. სცენის შეკეთებისათვის, სადაც ტარდება სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობა და ქორეოგრაფიული წრის მეცადინეობა, ადგილობრივ ხელისუფლებას ამ თხოვნით სოფლის ახალგაზრდობამ მიმართა.

ანტიკრიზისული გეგმა—ზრუნვა სოფელზე და ფერმერებზე

ახალი სახელმწიფო პროგრამა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირება“

პროგრამა ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო საქონლისა და ხვნის მომსახურების ღირებულების სუბსიდირებას. პროგრამით გათვალისწინებული სუბსიდიის მისაღებად საჭიროა, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საკუთრებაში ჰქონდეთ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. სუბსიდიის მოცულობა 1 ჰექტარ მიწაზე განისაზღვრა 200 ლარით (აგრობარათზე დარიცხული 200 ქულით).

0.25 ჰა-დან 1.25 ჰა-მდე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შესაძლებლობა ექნება ბარათზე დარიცხული ქულები გამოიყენოს შემდეგი სასოფლო-სამეურნეო საქონლის შესაძენად:

— სასუქები და მცენარეთა დაცვის ქიმიური / ბიოლოგიური საშუალებები

— მცენარეთა მოვლის ქიმიური / ბიოლოგიური საშუალებები

— სათესლე და სარგავი მასალები.

1.25 ჰა-დან 10 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს ბარათზე დარიცხული ქულების გამოყენების შესაძლებლობა ექნებათ როგორც ზემოაღნიშნული სასოფლო-სამეურნეო საქონლის, ასევე, სასოფლო-სამეურნეო მიწის აგროტექნიკური (ხვნის) სამუშაოების მომსახურების შესაძენად.

პროგრამით ისარგებლებს 200 000-მდე ფერმერი.

პროგრამის ბიუჯეტი 37 000 000 ლარია და პროგრამის განხორციელება დაიწყო 2020 წლის 20 მაისიდან.

პროგრამით სარგებლობის პირობები

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ, ჯამურად, არანაკლებ 0.25 ჰა და არაუმეტეს 10 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (გარდა სათიბ-საძოვრის კატეგორიის) რეგისტრირებული მიწის მესაკუთრეებს და პირებს, რომელთაც თანამესაკუთრებაში გააჩნიათ ერთი საკადასტრო კოდით რეგისტრირებული არანაკლებ 0.25 ჰა და არაუმეტეს 10 ჰა მიწის ნაკვეთი (გარდა სათიბ-საძოვრის კატეგორიისა).

სოფლის მეურნეობის სამინისტროს თერჯოლის საინფორმაციო—საკონსულტაციო ცენტრში (ხელმძღვანელი გურამ გურჯიძე) ორგანიზებულად მიმდინარეობს აგროდიზელის შეღავათიანი ბართების გაცემა, მოქალაქეებს უწევენ კონსულტაციებს მათთვის საინტერესო საკითხებზე...

სუბსიდირება შეადგენს 1 ჰა-ზე 200 ლარს (ბარათზე დარიცხულ 200 ქულას), 10 ჰა-ზე 2,000 ლარს.

თუ ბენეფიციარს საკუთრებაში ჯამურად გააჩნია არანაკლებ 0.25 ჰა და არაუმეტეს 10 ჰა მიწის ნაკვეთ(ებ)ი, სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრება 200 ლარით - შესაბამისად, ბარათზე დარიცხული 200 ქულით 1ჰა მიწის ნაკვეთზე პროპორციული გადაანგარიშებით, ან / და თუ ბენეფიციარს თანასაკუთრებაში გააჩნია ერთი საკადასტრო კოდით რეგისტრირებული არანაკლებ 0.25 ჰა და არაუმეტეს 10 ჰა მიწის ნაკვეთ(ებ)ი, სუბსიდიის მუცულობა განისაზღვრება თითოეულ თანასაკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე 200 ლარით - შესაბამისად, ბარათზე დარიცხული 200 ქულით 1ჰა მიწის ნაკვეთზე პროპორციული გადაანგარიშებით.

პროგრამით სარგებლობის ინსტრუქცია

— ფერმერებს, რომლებსაც მიწა რეგისტრირებული აქვთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ლიბერთი ბანკის პლასტიკურ ბარათებზე დაერიცხებათ ქულები, 1 ჰა- 200 ლარი, 0.25 ჰა- 50 ლარი, რომლითაც მივლენ სპეციალიზებულ მაღაზიებში და შეძლებენ შეისყიდონ სასოფლო სამეურნეო საქონელი, 1 ქულა = 1 ლარს.

— ბარათის ასაღებად ფერმერმა უნდა მიმართოს 20 მაისიდან სს „ლიბერთი ბანკის“ ნებისმიერ ფილიალს. სს „ლიბერთი ბანკი“ ფერმერს უსასყიდლოდ დაუმზადებს და გადასცემს ბარათს. დარიცხული ქულების რაოდენობის გადამოწმება ფერმერს / ბენეფიციარს შეეძლება ლიბერთი ბანკის ცხელ ხაზზე (2555500) ან ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე პირადი საიდენტიფიკაციო მონაცემების შეყვანით. ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება 20 მაისიდან, www. libertybank. ge

—მფლობელებს / თანამესაკუთრეებს სპეციალიზებულ მაღაზიებში შეეძლებათ შეისყიდონ სასუქები, მცენარეთა დაცვის ქიმიური / ბიოლოგიური საშუალებები, სათესლე და სარგავი მასალები.

— 1.25-დან 10 ჰა მიწის ნაკვეთის მფლობელები / თანამესაკუთრეები დამატებით შეძლებენ ხვნის მომსახურების მიღებას. ხვნის მომსახურების მიღება შესაძლებელია მხოლოდ შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების“ კომპანიის” (ყოფილი შპს „მექანიზატორი“) სერვისცენტრებში, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოს ყველა რეგიონში (ჯამში 12). ხვნის საფასური შეადგენს 1 ჰა-ზე 150 ლარს (150 ქულა).

— აგრობარათებზე დარიცხული ქულების გამოყენების ბოლო ვადაა 2021 წლის 20 მაისი.

აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამა

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 0,25-დან 100 ჰექტარი ფართობის მიწის ნაკვეთის მფლობელი ფიზიკური და იურიდიული პირები, ახალი სახელმწიფო პროექტის ფარგლებში, დიზელის საწვავს შეღავათიან ფასად იყიდიან.

პროექტის ფარგლებში, საწვავის ლიმიტი 1 ჰექტარზე 150 ლიტრის ოდენობით განისაზღვრა. პროგრამის ბენეფიციარები აგროტექნიკური სამუშაოებისთვის საჭირო დიზელის საწვავს, ბაზარზე არსებულთან შედარებით, მნიშვნელოვნად დაბალ ფასად იყიდიან.

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდას, რაც, თავის მხრივ, სასურსათო უზრუნველყოფასა და პროდუქციის თვითღირებულებაზე დადებითად აისახება.

200,000-ზე მეტი ფერმერი შეძლებს ისარგებლოს აღნიშნული პროგრამით

პროგრამით სარგებლობის პირობები

პროგრამაში მონაწილეობის მიღებას და დიზელის შეღავათიან ფასად მიღებას შეძლებენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მფლობელი ის ფიზიკური და იურიდიულ პირები, რომელთაც გააჩნიათ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრებად რეგისტრირებული არანაკლებ 0.25 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, გარდა საძოვარისა, ან პირები, რომლებიც მოახდენენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პირველად რეგისტრაციას და დაზუსტებას. პროგრამით მოსარგებლე ფერმერებისთვის გათვალისწინებულია ერთ ჰექტარზე 150 ლიტრის, ხოლო 100 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, არაუმეტეს, 15 000 ლიტრის ოდენობით საწვავის ფასდაკლების ბარათების გადაცემა.

პროგრამით სარგებლობის ინსტრუქცია

— 2020 წლის მაისის მეორე ნახევრიდან, ეტაპობრივად დარიგდება ფასდაკლების ბარათები და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება მიმდინარე წლის ბოლომდე. იურიდიული პირები ფასდაკლების ბარათის მიღებას შეძლებენ 1 ივნისიდან.

— აგროდიზელის ფასდაკლების ბარათის მისაღებად უნდა გამოცხადდნენ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეები და თან უნდა იქონიონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. სხვა პირის გამოცხადების შემთხვევაში, პირს თან უნდა ჰქონდეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა

— პროგრამაში ჩართულ ფერმერებს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს რეგიონულ სამსახურებში, იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში დაურიგდებათ ავტოგასამართი კომპანიის („სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი”) ფასდაკლების ბარათები. აღნიშნული ბარათებით, პროგრამით მოსარგებლე ფერმერებს, შესაძლებლობა ექნებათ, დიზელის საწვავი, მიმდინარე წლის განმავლობაში, დიზელის ბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურებში ფიქსირებულ ფასზე, დაახლოებით, 1 ლარით ნაკლებ ფასად შეიძინონ. საწვავის შეძენა შესაძლებელი იქნება „სოკარ პეტროლეუმ-ჯორჯიას” საბითუმო ბაზებიდან და ავტოგასამართი სადგურებიდან.

— 1 ივლისამდე ფერმერებს შესაძლებლობა ექნებათ გაანაღდონ მხოლოდ 50 ლიტრის, 1 ივლისიდან 1 სექტემბრამდე 300 ლიტრის ოდენობის საწვავის ფასდაკლების ბარათები. 1 სექტემბრიდან შესაძლებელია ნებისმიერი ოდენობის საწვავის ფასდაკლების ბარათების განაღდება.

— სუბსიდირება შეადგენს 1 ჰა-ზე გაანგარიშებით 150 ლიტრი დიზელის შეღავათიან ფასად შეძენას; 10 ჰა-ზე 1500 ლიტრის შეღავათიან ფასად შეძენას; ამგვარი დაანგარიშებით 100 ჰა-ს ჩათვლით.

100 ჰა და მეტი მიწის ფართობის მესაკუთრეები / თანამესაკუთრეები შეღავათიან ფასად შეიძენენ არაუმეტეს 15000 ლიტრ დიზელს.

2012-2019 წწ სამელიორაციო მომსახურების დავალიანების ჩამოწერა

შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიმართ არსებული 8 000 000 ლარამდე ოდენობის დავალიანება, რომელიც 2012-2019 წლებში წარმოიქმნა, სრულად ჩამოეწერება 42 000 ფერმერს.

2012-2019 წწ წარმოქმნილი დავალიანება ჩამოეწერება ყველა იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, ვინც ისარგებლა შპს „საქართველოს მელიორაციის“ შემდეგი სერვისებით: ირიგაცია, დრენაჟი, მობილური ტუმბოაგრეგატებით წყლის მიწოდება, სატბორე მეურნეობების წყლით უზრუნველყოფა. აგრეთვე იმ პირებს, რომლებსაც ვალდებულება წარმოეშვათ შპს „საქართველოს მელიორაციის“ წინაშე წყლის დატაცების შედეგად. ამაში არ იგულისხმება წყლის დატაცების გამო დაკისრებული ადმინისტრაციული ჯარიმა.

აღნიშნული დავალიანება ფერმერებს ჩამოეწერებათ ავტომატურად.

2020 წელს სამელიორაციო მომსახურების საფასურისგან გათავისუფლება

42 ათასზე მეტი ფერმერი 2020 წელს სამელიორაციო მომსახურების საფასურისგან გათავისუფლდება, რაც 1 ჰექტარზე 75 ლარამდე გადასახადს გულისხმობს და ჯამში 5 მილიონ ლარს შეადგენს.

მომსახურების საფასურზე შეღავათს მიიღებს ყველა ის პირი, ვინც ისარგებლებს საქართველოს მელიორაციის შემდეგი მომსახურებით - ირიგაცია ან / და დრენაჟი. შეღავათის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება თითოეულ მომხმარებელზე არაუმეტეს 10 ჰექტარისა. მომხმარებლისთვის 10 ჰა-ზე მეტი ფართობის სამელიორაციო მომსახურების გაწევისას, შეღავათი შეეხება მხოლოდ 10 ჰა-ს, ხოლო დანარჩენ ფართობზე გაწეულ მომსახურებაზე გადასახადის გადახდა ხდება სტანდარტული ტარიფით.

აღნიშნული შეღავათით სარგებლობისთვის, ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ უნდა გააფორმონ განაცხადი სამელიორაციო მომსახურებაზე. განაცხადის გასაფორმებლად უნდა მიმართოთ შპს „საქართველოს მელიორაციის“ რეგიონულ / ადგილობრივ სერვისცენტრებს.

შეღავათიანი აგროკრედიტი

— პროექტში საბრუნავი საშუალებების კომპონენტს ემატება ახალი ქვეკომპონენტი - მემცენარეობის საბრუნავი საშუალებების დაფინანსება.

სესხები გაიცემა 5 000 ლარიდან 100 000 ლარის ჩათვლით, ხოლო სახელმწიფო მოახდენს 6 თვის საპროცენტო განაკვეთის სრულად დაფინანსებას უზრუნველყოფილი სესხების შემთხვევაში, ხოლო არაუზრუნველყოფილი სესხების შემთხვევაში - წლიური 17%-ის მოცულობით. პროგრამის ფარგლებში ფერმერებზე გაცემული სესხების ჯამური სავარაუდო მოცულობა იქნება 50,000,000 ლარი. წლიური პროცენტის თანადაფინანსების საბიუჯეტო თანხა შეადგენს 4,500,000 ლარს. პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა 5,000 პოტენციურ ბენეფიციარს აქვს. ვრცლად იხილეთ ბმულზე ARDA. GOV.GE

— „შეღავათიანი აგროკრედიტის” ძირითადი საშუალებების კომპონენტში იზრდება თანადაფინანსების პროცენტი

არსებული წლიური 8%-ის ნაცვლად სახელმწიფო ფერმერს 48 თვის განმავლობაში დაუფინანსებს 11%-ს. იზრდება ლიზინგის თანადაფინანსების პროცენტიც, ნაცვლად არსებული 9%-ისა იქნება 12 %. ძირითადი საშუალებების კომპონენტში და მის ყველა ქვეკომპონენტში იზრდება ბანკებისთვის დაწესებული პროცენტის ზედა ზღვარი, ნაცვლად 15%-ისა იქნება 18%. ძირითადი საშუალებების კომპონენტს და ლიზინგს ემატება ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოების და მაკარონის ნაწარმის წარმოების დაფინანსება.

პროგრამის ფარგლებში ფერმერებზე გაცემული სესხების ჯამური სავარაუდო მოცულობა იქნება 25,000,000 ლარი. წლიური პროცენტის თანადაფინანსების საბიუჯეტო ჯამური თანხა 4,000,000 ლარი (2 წლის განმავლობაში).ვრცლად იხილეთ ბმულზე: ARDA.GOV.GE

— პროექტს კომპონენტად ემატება მეორადი უზრუნველყოფის კომპონენტი მეხორცული მიმართულების მეცხოველეობისათვის და მეთხილეობისთვის საბრუნავი საშუალებებისათვის გაცემულ სესხებზე.

კომპონენტის ფარგლებში გაცემული ყოველი ახალი სესხის ძირითადი თანხის მთლიანი მოცულობის არაუმე- ☞5

ანტიკრიზისული გეგმა—ზრუნვა სოფელზე და ფერმერებზე

ახალი სახელმწიფო პროგრამა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირება“

4☞

ტეს 50%-ის მეორადი უზრუნველყოფა მოხდება სახელმწიფოს მიერ სესხის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან მომდევნო 18 თვის განმავლობაში. ვრცლად იხილეთ ბმულზე: ARDA.GOV.GE

— პროექტს ასევე დაემატა ახალი ქვეკომპონენტი სასურსათო მრეწველობის დაფინანსებისთვის.

— ქვეკომპონენტის ფარგლებში სესხი გაიცემა 1 500 001 ლარიდან 5 000 000 ლარის ჩათვლით, რომლის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას სააგენტო მოახდენს წლიური 10 %-ის მოცულობით 24 თვის განმავლობაში. არსებულ მიზნობრიობებს ემატება ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოების, პურისა და პურპროდუქტების წარმოების და მაკარონის ნაწარმის წარმოების დაფინანსება. პროექტს ემატება აგროლიზინგის კომპონენტის ქვეკომპონენტი სასურსათო მრეწველობის დაფინანსებისათვის, სადაც სახელმწიფო თანადაფინანსება 12% იქნება 24 თვის განმავლობაში. პროგრამის ფარგლებში, ფერმერებზე გაცემული სესხების ჯამური სავარაუდო მოცულობა იქნება 20,000,000 ლარი. 500,000 ლარის ბიუჯეტის ოდენობით ანაზღაურდება მეორადი უზრუნველყოფის ფარგლებში. ვრცლად იხილეთ ბმულზე: ARDA.GOV.GE

პროგრამით სარგებლობის პირობები

შეღავათიანი აგროკრედიტით სარგებლობა შეუძლიათ, საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ და საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს.

ბენეფიციარი რეგისტრირებული უნდა იყოს ფერმერთა/ფერმათა რეესტრში.

პროექტის ფარგლებში სესხი/ლიზინგი გაიცემა, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტების პირველადი წარმოების, ასევე მათი გადამუშავება/შენახვის დაფინანსებისათვის. დაფინანსება გათვალისწინებულია როგორც ძირითადი, ისე საბრუნავი საშუალებებისთვის.

სახელმწიფოს სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსების ოდენობა და ხანგრძლივობა განსხვავდება პროექტის ქვეკომპონენტის, მიზნობრიობის და სესხის/ლიზინგის მოცულობის მიხედვით:

• საბრუნავი საშუალებები ერთწლოვანი კულტურებისთვის - უზრუნველყოფილ სესხებზე სესხის პროცენტი დაფინანსდება სრულად, ხოლო არაუზრუნველყოფილ სესხებზე 17%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 6 თვის განმავლობაში;

• ძირითადი საშუალებებისთვის - 11%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 48 თვის განმავლობაში;

• მექანიზაციის ქვეკომპონენტისთვის - 8%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 48 თვის განმავლობაში;

• მრავალწლოვანი ბაღების ქვეკომპონენტისთვის - 11%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 66 თვის განმავლობაში;

• სასურსათო მრეწველობის ქვეკომპონენტისთვის - 10%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 24 თვის განმავლობაში;

• ლიზინგის შემთხვევაში - 12%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 48 თვის განმავლობაში;

• ლიზინგი მექანიზაციისთვის - 9%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 48 თვის განმავლობაში;

• ლიზინგი სასურსათო მრეწველობისთვის - 12%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 24 თვის განმავლობაში.

აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამა მოიცავს:

— სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის - არაუმეტეს 100 ცხენის ძალის მქონე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტრაქტორის, ხელის ტრაქტორის (მოტობლოკი), სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის განკუთვნილი თვითმავალი ტექნიკის და სასოფლო-სამეურნეო იმპლემენტების (მისაბმელები) თანადაფინანსებას. ტრაქტორის სიმძლავრე არ არის შეზღუდული ტექნიკის შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიისგან” შესყიდვის შემთხვევაში.

— ახალი სასათბურე მეურნეობის მოწყობისთვის ან/და არსებული სასათბურე მეურნეობის გაფართოება/მოდერნიზებისთვის საჭირო შესასყიდი ძირითადი საშუალებების შეძენის და მათი სამონტაჟო სამუშაოების თანადაფინანსებას ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის სარწყავი სისტემის შესყიდვა/მონტაჟის თანადაფინანსებას.

პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო თანადაფინანსების მოცულობა ჯამურად ერთ ბენეფიციარზე შეადგენს 50%-ს, მაგრამ არაუმეტეს 50,000 ლარისა. ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის მაქსიმალური თანადაფინანსების ოდენობა შეადგენს 500,000 ლარს. პროგრამის საბიუჯეტო თანადაფინანსების ჯამური თანხა შეადგენს 10,000,000 ლარს. პროგრამის ფარგლებში სავარაუდოდ დაფინანსდება 200 ტრაქტორი, 80 000 კვ/მ სათბური და 400 ჰა მიწის ფართობზე მოეწყობა სარწყავი სისტემა.

პროგრამა ხორციელდება საქართველოს ყველა რეგიონში, გარდა შემდეგი ქალაქებისა: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი.

პროგრამით სარგებლობის პირობები

აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამის პოტენციური ბენეფიციარია საქართველოს მოქალაქე ფიზიკური ან რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური/იურიდიული პირი, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.

— სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე განაცხადის შემოტანის შემთხვევაში, არ არის აუცილებელი მიწის ნაკვეთის საკუთრებაში ფლობა.

— სათბურის ან/და სარწყავი სისტემის განაცხადის შემთხვევაში, აუცილებელია მიწის ნაკვეთის საკუთრებაში ფლობა ან სახელმწიფოსგან იჯარით მიღებული მიწა, რომელზეც განთავსდება სათბური/სარწყავი სისტემა.

პროგრამით სარგებლობის ინსტრუქცია

პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს, შეავსოს განაცხადი სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს ვებგვერდზე www. arda. gov. ge

განაცხადთან ერთად, ელექტრონულად, PDF ფორმატში, უნდა იყოს წარმოდგენილი თანმდევი დოკუმენტები სრულყოფილად. თანმდევი დოკუმენტების ნუსხა განთავსებულია ვებ. გვერდზე ARDA.GOV.GE

განაცხადის და თანმდევი დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება ორ კვირაში. ფორმდება თანადაფინანსების ხელშეკრულება. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, საკუთარი თანამონაწილეობის გადარიცხვის და აუდიტორული დასკვნის წარმოდგენის შემდგომ (რომელიც ადასტურებს, რომ მიზნობრიობა შესრულებულია), ბენეფიციარი მიიღებს თანადაფინანსებას.

განაცხადების მიღება შესაძლებელია მაისის თვის მეორე ნახევრიდან.

ტექნიკური დახმარების პროგრამა სახელმწიფო პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციარებისათვის

პროგრამის მიზანია ხარისხიანი ქართული აგრარული პროდუქციის წარმოების ზრდის ხელშეწყობა. პროგრამის ბიუჯეტი 1,500,000 ლარს შეადგენს. პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარები მიიღებენ თანადაფინანსებას სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სისტემების/სტანდარტების დანერგვისა და ბრენდირების მიმართულებით.

— ბრენდირების და შეფუთვის დიზაინის მიმართულებით სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრება არაუმეტეს 50%-ით, მაგრამ არაუმეტეს 15 000 ლარისა.

— სააგენტოს თანადაფინანსება სურსათის უვნებლობის სტანდარტების/სისტემების მიმართულებით განისაზღვრება არაუმეტეს 50%-ით, არაუმეტეს 15 000 ლარისა.

— სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემთხვევაში თანადაფინანსება განისაზღვრება არაუმეტეს 90%-ით, არაუმეტეს 25 000 ლარისა.

— ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო პროგრამებში მონაწილე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს გაეწევათ დახმარება ბუღალტრული მომსახურების მიღებისთვის.

პროგრამის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს დაუფინანსდებათ აღჭურვილობა/დანადგარები, რომლის საშუალებით წარმოებული პროდუქცია ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი სარეალიზაციო ფორმით დამზადდება. სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრება არაუმეტეს 70%-ით, მაგრამ არაუმეტეს 10 000 ლარისა. პროგრამა სააგენტოს ბენეფიციარებისათვის ასევე ითვალისწინებს საკონსულტაციო მომსახურებას და ტრენინგებს - საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარებას.

ვრცლად პროგრამის შესახებ: ARDA.GOV.GE

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდამჭერი პროექტები

მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა

პროგრამა ითვალისწინებს კოოპერაციული სისტემის ფარგლებში მევენახე ფერმერების მიერ ყურძნის წარმოების ზრდის სტიმულირებას და ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოს ჩამოყალიბებას.

ყურძნის მწარმოებელი კოოპერატივებისათვის მთიან დასახლებებში არანაკლებ 50 და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე არანაკლებ 100 ტონა ყურძნის გადამუშავებისათვის და ღვინის წარმოებისათვის შესაბამისი აღჭურვილობის შეძენის თანადაფინანსებას:

— მთიან დასახლებებში 95%-იანი თანადაფინანსება არა უმეტეს 500 ათასი ლარის ერთ კოოპერატივზე.

— საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე 90%-იან თანადაფინანსებას არა უმეტეს 500 ათასი ლარის ერთ კოოპერატივზე.

პროგრამის პირობები:

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივებს, რომელთა:

— წევრთა რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 20 მეპაიე და კოოპერატივს ან/და მის მეპაიეებს საკუთრებაში უნდა გააჩნდეთ არანაკლებ 20 ჰექტარი ვენახი;

— მაღალმთიან დასახლებაში, კოოპერატივის წევრთა რაოდენობა შეადგენს არანაკლებ 10 მეპაიეს და კოოპერატივს ან/და მის მეპაიეებს საკუთრებაში გააჩნიათ არანაკლებ 10 ჰექტარი ვენახი;

— კოოპერატივის არანაკლებ 14 მეპაიეს ინდივიდუალურად (თითოეულს) საკუთრებაში აქვს ან/და საპაიო შენატანის სახით კოოპერატივში შეტანილი აქვს არანაკლებ 0.3 ჰექტარი ვენახი, ხოლო მაღალმთიან დასახლებაში, კოოპერატივის არანაკლებ 7 მეპაიეს;

— ინდივიდუალურად (თითოეულს) საკუთრებაში აქვს ან/და საპაიო შენატანის სახით კოოპერატივში შეტანილი აქვს არანაკლებ 0.1 ჰექტარი ვენახისა;

— კოოპერატივს, საკუთრებაში გააჩნია ღვინის საწარმოსათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობა ან მიწის ნაკვეთი, რომელზეც დასაშვებია აშენდეს ღვინის საწარმოს შენობა-ნაგებობა;

ვრცლად იხილეთ ბმულზე - ARDA.GOV.GE

რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა

პროგრამა ითვალისწინებს კოოპერაციის ფარგლებში რძის მიმღებ გადამამუშავებელი საწარმოს ჩამოყალიბებას და რძის ნაწარმის წარმოებას.

რძის მწარმოებელი კოოპერატივებისათვის რძის გადამუშავებისათვის საჭირო აღჭურვილობის შეძენის სახელმწიფო თანადაფინანსება შეადგენს:

— მთიან დასახლებებში 95%-იანი თანადაფინანსებას, არა უმეტეს 150 ათასი ლარის ერთ კოოპერატივზე;

— საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე 90%-იან თანადაფინანსებას არა უმეტეს 150 ათასი ლარის ერთ კოოპერატივზე.

პროგრამის პირობები:

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივებს, თუ:

— კოოპერატივებს და/ან მათ მეპაიეებს ჰყავთ არანაკლებ 150/1000/200 სული შესაბამისად ფურები, ცხვრები (ნერბი) ან თხები (ნეზვი) რაოდენობები;

— მაღალმთიან დასახლებაში არანაკლებ 50 სული ფური;

— კოოპერატივს, საკუთრებაში გააჩნია რძის გადამამუშავებელი საწარმოსათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობა ან მიწის ნაკვეთი, რომელზეც დასაშვებია აშენდეს შენობა-ნაგებობა;

ვრცლად იხილეთ ბმულზე - ARDA.GOV.GE

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს პროგრამებში გათვალისწინებულია დამატებით 10 %-თანადაფინანსება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია: ცხელი ხაზის -1501 (ინდექსის გარეშე, ზარი უფასოა, კონფიდენციალურობა დაცული); ონლაინ კონსულტაციის - livechat.apmapojects.com მეშვეობით.

სამაგალითო გაკვეთილები წარსულიდან...

საქართველომ ბოლო საუკუნის განმავლობაში ორჯერ შეძლო დამოუკიდებლობის მოპოვება-აღდგენა. დავა იმაზე, თუ რა გზით მოვიპოვეთ ეს ორი დამოუკიდებლობა არ წყდება. 1918 წელს გამოცხადებულ დამოუკიდებლობას ხშირად „ფოსტით მიღებულს“ უწოდებენ, ხოლო 1991 წლის დამოუკიდებლობას კი ბრძოლითა და სისხლით მოპოვებულს. მეორე თეზისი ნამდვილად ახლოს დგას სინამდვილესთან. რაც შეეხება პირველ მტკიცებას, იგი აშკარად მცდარია. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ის წმინდად ბოლშევიკური, საბჭოთა დეზინფორმაციისა და პოსტ-საბჭოთა ქართული ნაციონალიზმის ერთგვარი ნაზავია, რომლის მიზანიც ისტორიული მოვლენის დაკნინება და დამახინჯებაა. ჩვენ შევეცდებით, 26 მაისზე და ამ დღის წყალობით მიღებულ გამოცდილებაზე მოგითხროთ.

1918 წლის 26 მაისს წინ უძღვოდა მოვლენების ერთი შეხედვით ურთიერთსაპირისპირო, მაგრამ ისტორიულად მწყობრი ჯაჭვი, რაც ათწლეულების განმავლობაში ქართული საზოგადოებისა და პოლიტიკური ძალების განვითარებას გულისხმობდა. ეს ძალები უკვე მომწიფებული იყო საჭიროების შემთხვევაში ძალაუფლების ხელში ასაღებად და დამოუკიდებელი, სწრაფად განვითარებადი დემოკ-



საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება,—არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საიდუმლოთა, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-, ქალაქისა და ოსტრიოს წინაშე აღიარებს, რომ ის საკანონმდებლო ორგანოს საყოველთაო არჩევნებს.

საბოლოოდ, 1918-1920 წლებში საქართველოს 20 მაზრასა და 26 ქალაქში მოეწყო თითმმართველობები. საუკუნის წინ თვითმმართველობათა კომპეტენციას წარმოადგენდა ადგილობრივი გადასახადების შემოღება და აკრეფა, ეკონომიკური საქმიანობის წარმართვა საწარმოთა შექმნით, ადგილობრივი მნიშვნელობის მამულების განკარგვა, გზების მოვლა-პატრონობა, სკოლების (განსაკუთრებით, დაწყებითი დონის) დაარსება, საავადმყოფოებისა და ამბულატორიების მოწყობა, ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევა, ადგილობრივი საპოლიციო ორგანოების ჩამოყალიბება და არჩევა. განსაკუთრებული წარმატებით გამოირჩეოდნენ თვითმმართველობები ახალი სკოლების შექმნაში. მაგალითისათვის, ქუთაისის მაზრაში, სადაც 1918 წლამდეც საკმაოდ ბევრი სკოლა ფუნქციონირებდა, მხოლოდ 1919 წელს 38 ახალი სკოლა შეიქმნა.

3. განათლების რეფორმა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებსა და მოქალაქეებს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისა და განვითარების ერთ-ერთ მთავარ

1. სამთავრობო ინსტიტუტების მშენებლობა

დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მემკვიდრეობით მიიღო რუსეთის საიმპერიო რეჟიმის, რუსეთის დროებითი მთავრობისა და კავკასიის ეფემერული რესპუბლიკის ფაქტობრივად მოშლილი და შეუმდგარი ინსტიტუტები, რომელთა ქმედუნარიანობა ძალზე დაბალი იყო.

ახლადშექმნილმა სახელმწიფომ

1918 წლის 26 მაისსვე დაამტკიცა კოალიციური მთავრობა და სწრაფად შეუდგა სამთავრობო ინსტიტუტების შენებას. სულ რამდენიმე კვირაში ჩამოაყალიბა მცირე ზომის სამინისტროები, რომელთა შტატების რაოდენობა 30-დან 100 კაცამდე იყო, მხოლოდ ძალოვანი უწყების სტრუქტურაში იყო თავმოყრილი 100 კაცზე მეტი.

იმპერიის მემკვიდრეობით მიღებული ინსტიტუტები სწრაფადვე დაშალეს, ამ ინსტიტუტებში დასაქმებულ რუს მოხელეებს კი ფინანსური კომპენსაცია – „სალიკვიდაციო სარგო“ – მიეცათ. 1919 წლის განმავლობაში სამინისტროები ერთმანეთს შეუერთეს და მათი საერთო რაოდენობა ამ გზით შეკვეცეს, თუმცა ამან მართვის ეფექტურობა შეამცირა და 1920 წლისათვის ფაქტობრივად კვლავაც აღდგა სამინისტროების პირველადი სტრუქტურა. სამთავრობო ინსტიტუტებში თანამშრომელთა შერჩევისას მხოლოდ კვალიფიკაცია წარმოადგენდა კრიტერიუმს და პარტიული ნიშნით მხოლოდ მინისტრი და მინისტრის ამხანაგი (მოადგილე) ინიშნებოდა. აქედან გამომდინარე, ხშირი იყო დეპარტამენტის უფროსად, დიპლომატიურ წარმომადგენლად თუ სხვა

2. ადგილობრივი თვითმმართველობა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური სპექტრისთვის უმნიშვნელოვანესი იყო თვითმმართველობების მძლავრი სისტემის შექმნა. გავლენიან პოლიტიკოსთა შეფასებებით თვითმმართველობები უნდა ქცეულიყო „სახელმწიფოდ სახელმწიფოში“, იმ თვალსაზრისით, რომ თავად უნდა წარემართა მაზრაში ყველანაირი საქმიანობა, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების ხელშეუვალ პრეროგატივას წარმოადგენდა – უსაფრთხოება, საგარეო პოლიტიკა, საერთაშორისო ვაჭრობა.

პოლიტიკური სპექტრი ყველა სახის დემოკრატიული რეფორმის საწყისად თვითმმართველობების რეფორმას მიიჩნევდა. სწორედ ამიტომ, რეფორმათა ჯაჭვში თვითმმართველობათა არჩევნები რამდენიმე თვით უსწრებდა საკანონმდებლო ორგანოს საყოველთაო არჩევნებს.

საბოლოოდ, 1918-1920 წლებში საქართველოს 20 მაზრასა და 26 ქალაქში მოეწყო თითმმართველობები. საუკუნის წინ თვითმმართველობათა კომპეტენციას წარმოადგენდა ადგილობრივი გადასახადების შემოღება და აკრეფა, ეკონომიკური საქმიანობის წარმართვა საწარმოთა შექმნით, ადგილობრივი მნიშვნელობის მამულების განკარგვა, გზების მოვლა-პატრონობა, სკოლების (განსაკუთრებით, დაწყებითი დონის) დაარსება, საავადმყოფოებისა და ამბულატორიების მოწყობა, ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევა, ადგილობრივი საპოლიციო ორგანოების ჩამოყალიბება და არჩევა. განსაკუთრებული წარმატებით გამოირჩეოდნენ თვითმმართველობები ახალი სკოლების შექმნაში. მაგალითისათვის, ქუთაისის მაზრაში, სადაც 1918 წლამდეც საკმაოდ ბევრი სკოლა ფუნქციონირებდა, მხოლოდ 1919 წელს 38 ახალი სკოლა შეიქმნა.

3. განათლების რეფორმა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებსა და მოქალაქეებს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისა და განვითარების ერთ-ერთ მთავარ საყრდენად განათლების ეროვნული სისტემის შექმნა მიაჩნდათ. ამ საქმეში მოქალაქეების ფართო მასების ჩართვა და საზოგადოების განათლების რეფორმის გარშემო კონსოლიდაცია უმნიშვნელოვანეს ამოცანად იყო დასახული. 1918 წლისათვის უმთავრეს პრობლემას სკოლათა და მასწავლებელთა სიმცირე, წერა-კითხვის ცოდნის დაბალი დონე, სასკოლო პროგრამებისა და წიგნების ქართულ ენაზე არარსებობა და რესურსების სიმცირე წარმოადგენდა.

1918 წლის ზაფხულშივე მოხდა რუსულენოვანი და სამრევლო (საეკლესიო) სკოლების გაეროვნულება და ნაციონალიზაცია (გაქართულება). მიზნად იქნა დასახული 1924 წლისათვის საქართველოს ყველა მოქალაქისათვის წერა-კითხვისა და, სულ მცირე, დაწყებითი განათლების მიღების უზრუნველყოფა. უმოკლეს ვადებში შეიქმნა მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები და გაძლიერდა პედაგოგიური ინსტიტუტი. 1918 წლიდან 1921 წლის დასაწყისამდე სკოლათა რაოდენობა დაახლოებით 125%-ით, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა 110%-ით გაიზარდა, სახელმწიფომ აიღო ვალდებულება ღარიბ მოსწავლეთა წიგნებითა და ტანსაცმელით უზრუნველყოფაზე, შეიქმნა სასწავლო პროგრამები ქართულ ენაზე. სახელმწიფომ ვალდებულებად აიღო უმაღლესი განათლების სრულად დაფინანსება.

რესპუბლიკამ მძიმე ფინანსური პრობლემების პირობებში გამონახა რესურსი 100-ზე მეტი ნიჭიერი მეცნიერისა და ხელოვანის ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში განათლების მისაღებად გაგზავნისათვის.

რესპუბლიკამ შექმნა სპეციალური პროფესიული კურსები და სასწავლებლები.

შეიქმნა მძლავრი სასოფლო ბიბლიოთეკების მთელი ქსელი, გაძლიერდა არაფორმალური განათლების კერები სახალხო უნივერსიტეტების ქსელის სახით და სხვ.

4. აგრარული რეფორმა

აგრარული რეფორმის სწრაფი და წარმატებული გატარება ფაქტობრივად მთელი მემარცხენე პოლიტიკური სპექტრის მთავარი მოთხოვნა იყო, მემარცხენე პარტიები კი მოქალაქეთა დაახლოებით 95-96 %-ის მხარდაჭერით სარგებლობდნენ. აგრარული რეფორმა ჯერ კიდევ ამიერკავკასიის კომისარიატმა წამოიწყო, თუმცა პოლიტიკური კატაკლიზმების გამო ვერ განახორციელა.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში რეფორმის ახალი ჩარჩო 1918 წელს შემუშავდა, 1919 წლის იანვრიდან კი მისი ხორცშესხმა დაიწყო. ის პირველ რიგში გულისხმობდა სასოფლო-სამეურნეო მიწების აზომვა-აღრიცხვასა და მაზრების მიხედვით საკადასტრო სტატისტიკის შედგენას. მეორე ეტაპზე, რეფორმის დებულებაში გათვალისწინებულ თითოეულ ოჯახზე კონკრეტული სასოფლო-სამეურნეო მიწის ზედა მარჯაზე მეტი (რეგიონების მიხედვით 5-დან 11 ჰექტრამდე მერყეობდა) ქონება კერძო და იურიდიულ პირებს ჩამოერთვა და მიწის ერთიან ფონდში ჩაირიცხა.

1918 წლამდე სასოფლო-სამეურნეო მიწები საკუთრების მიხედვით სამ ძირითად ჯგუფად იყოფოდა: საიმპერიო მამულები, რომლებსაც უშუალოდ მეფის მოხელეები განაგებდნენ; მეორე დიდი ფონდი ეკლესიის საკუთრებას წარმოადგენდა; ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი სასოფლო სამეურნეო მიწისა ეკუთვნოდა თავადაზნაურობას. სახელმწიფომ ფაქტობრივად საიმპერიო და საეკლესიო მიწების დიდი ნაწილის სრული ნაციონალიზაცია მოახდინა. კონკრეტულ ზღვარს ზემოთ არსებული მიწები ჩამოართვეს მემამულეებსა და თავად-აზნაურობასაც.

1919 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო ჩამორთმეული მიწებისაგან შემდგარი საერთო მიწის ფონდის განაწილება გლეხებზე, რომლებიც მოსახლეობის 80%-ს შეადგენდნენ. აღსანიშნავია, რომ 1918 წლისათვის მათი მხოლოდ 20% ფლობდა მეურნეობისათვის საკმარის მიწის ნაკვეთებს. აქამდე სრულიად უქონელმა გლეხმა სიმბოლურ ფასად მიიღო მიწის ნაკვეთი, რომელიც სრულებით საკმარისი იყო მისი ოჯახის უზრუნველყოფისათვის.

ოპოზიციური მემარცხენე პარტიები აპროტესტებდნენ გლეხებისათვის თუნდაც მცირე ფინანსური ვალდებულების დაწესებას და მოითხოვდნენ მიწის სრულიად უფასოდ გადაცემას მათთვის, თუმცა მთავრობის პოზიციით, გლეხს მხოლოდ რეფორმის საორგანიზაციო ხარჯებისათვის საჭირო აუცილებელი საფასური უნდა გადაეხადა. მემარჯვენე პარტიები გმობდნენ მიწის ამგვარ რეფორმას და იცავდნენ მემამულეთა კერძო საკუთრების უფლებას.

5. სასამართლო რეფორმა

რუსეთის იმპერიისაგან მიღებულ მემკვიდრეობათაგან ადმინისტრაციის სიმახინჯესთან ერთად, ალბათ, ყველაზე პრობლემური სასამართლო სისტემა იყო. დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურმა სპექტრმა 1918 წლის ზაფხულიდანვე დაიწყო სასამართლო სისტემის რეფორმაზე მუშაობა. საინტერესოა, რომ ამ რეფორმის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი სოციალისტ-ფედერალისტი გრიგოლ გველესიანი იყო, მას სრულ მხარდაჭერას უცხადებდა სოციალ-დემოკრატიული პარტია.

სასამართლო რეფორმის პირველი ტალღა დაკავშირებული იყო მის დემოკრატიზაციასთან და მოქალაქეების ჩართვასთან. 1918 წელს საერობო რეფორმასთან ერთად შემოიღეს მომრიგებელ მოსამართლეთა განახლებული დემოკრატიული ინსტიტუტი, რომლის მოქმედებაშიც ჩართული იყვნენ მოქალაქეები. მომრიგებელი მოსამართლეებს დემოკრატიული გზით ღია კონკურსით თვითმმართველობები ირჩევდნენ. მათი როლი კერძო დავების მოგვარება იყო.

მეორე ტალღა შეეხო სასამართლო სისტემაში რიგითი მოქალაქეების უშუალოდ ჩართვას. კერძოდ, შემოღებული იქნა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ეს რეფორმა არცთუ სწრაფი ტემპით გატარდა, რის გამოც დამფუძნებელი კრების ტრიბუნაზე და პრესაში არაერთხელ გამოითქვა კრიტიკა.

სასამართლო რეფორმის ბოლო, მესამე ტალღა, ერთგვარ გვირგვინს წარმოადგენდა მთლიანად სისტემის რეფორმირებისას. კერძოდ, 1919 წლის ზაფხულში დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა კანონი, რომელიც გულისხმობდა მართლმსაჯულების უზენაესი ორგანოს – სენატის შექმნას. სენატი იყო სასამართლო სისტემის უმაღლესი რგოლი, რომელიც შედგებოდა დამფუძნებელი კრების მიერ გამჭვირვალე და ღია კონკურსით შერჩეული და დამტკიცებული წევრებისაგან. 1919 წლის ოქტომბერში სენატი სრულად დაკომპლექტდა. სენატის წევრებს დამფუძნებელი კრება ამტკიცებდა.

საინტერესოა, რომ მაშინ, როცა დამფუძნებელი კრების მანდატების 80%-ზე მეტი სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნოდა, მმართველ ძალას არც კი უცდია პოლიტიკურად მათდამი ლოიალური კანდიდატები აერჩია. პირიქითაც კი მოხდა, არჩეულ წევრთაგან რამდენიმე, მათ შორის სოციალ-ფედერალისტი გრიგოლ გველესიანი და ეროვნულ-დემოკრატი ივანე ზურაბიშვილი, კონკრეტული ოპოზიციური პარტიების წევრები იყვნენ. სენატი თავისი 16 თვიანი არსებობის პირობებში არასდროს გამხდარა პოლიტიკური სპეკულაციის საგანი. პირიქით, სენატორთა მაღალკვალიფიციურობიდან და კეთილსინდისიერებიდან გამომდინარე ეს ინსტიტუტი საზოგადოების ნდობას სრულად იმსახურებდა.

შეჯამების მაგიერ

რეფორმათა ჩამონათვალის რიგის გაგრძელება კიდევ შეიძლება, თუნდაც სოციალური დაცვისა და შრომის პოლიტიკით, საკანონმდებლო ორგანოს საყოველთაო არჩევნებით და სხვა.

ხაზგასასმელია, რომ ყველა ეს რეფორმა მომზადდა და გატარდა მუდმივი საომარი მოქმედებების პირობებში – ომი სომხეთთან, სამხედრო შეტაკებები თეთრი არმიის ნაწილებთან, ბოლშევიკური აჯანყებები ქვეყნის შიგნით, შეტაკებები წითელ არმიის ნაწილებთან 1920 წლის გაზაფხულზე. ამავე დროს, მიმდინარეობდა ფაქტობრივად გამოუცხადებელი ეკონომიკური ბლოკადა – დენიკინმა ☞7

6 ☞

სამაგალითო გაკვეთილები წარსულიდან...

სამხრეთ რუსეთიდან საქართველოსთვის სურსათის მოწოდება აკრძალა, ფაქტობრივად შეწყდა ეკონომიკური კავშირი ცენტრალურ რუსეთთან, ომის შემდგომი სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის გამო შეიზღუდა ტრანზიტი ოსმალეთის გავლით. რაც მთავარია, ყველა ზემოჩამოთვლილი რეფორმა გატარდა სულ რაღაც 33 თვის განმავლობაში.

რეფორმების ასეთ მნიშვნელოვანი წარმატების მთავარი მიზეზი პოლიტიკური და საზოგადოებრივი სპექტრის კონსოლიდაცია, პროცესში საზოგადოების ფართო ფენების აქტიური მონაწილეობა და მემკვიდრეობით მიღებული მახინჯი სისტემის კარგად გააზრებული გარდაქმნა იყო.

* * *

1917 წლის გაზაფხულზე, რუსეთში მონარქიის დამხობის შემდეგ, მეფისნაცვალმა ნიკოლოზ რომანოვმა თავისთან მიიწვია თბილისის ქალაქის თავი ალექსანდრე ხატისოვი, ასევე პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოების წარმომადგენლები და განუცხადა, რომ იგი ტოვებდა თბილისს და სთხოვდა მასთან შეკრებილთ, ეზრუნათ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და ქვეყნის უშიშროებაზე. რუსეთის იმპერიის მოულოდნელმა აღსასრულმა ქართულ პოლიტიკურ ელიტაში დაბნეულობა გამოიწვია. ნოე ჟორდანიას სიტყვებით მათ რევოლუცია „ფოსტით მიიღეს“. ვერც ანტირუსული განწყობილებით ცნობილმა ეროვნულ-დემოკრატებმა შეძლეს პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. რუსეთის დროებითმა მთავრობამ კავკასიაში დანიშნა ხელისუფლების სამხარეო ორგანო - ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომისარიატი (ოზაკომი), რომელიც ეროვნული და პარტიული პრინციპით იყო შექმნილი. რეალურად კი ორხელისუფლებიანობა დამყარდა. ოზაკომის გვერდით არსებობდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოები, რომელთა თავმჯდომარედაც ნოე ჟორდანია აირჩიეს და რომელსაც ეპყრა ხელთ რეალური ძალაუფლება.

1917 წლის აპრილის ქართულ პოლიტიკურ ძალთა ორგანიზების მიზნით მოწვეულ იქნა საქართველოს პირველი და მეორე ინტერპარტიული კრებები, რომლებზეც წარმოდგენილი იყვნენ სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები. მიუხედავად უთანხმოებისა, ინტერპარტიულმა კრებებმა სამოქმედო პროგრამის განსაზღვრა შეძლეს. ინტერპარტიული საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი გახდა. ქართული პოლიტიკური ელიტა მომავლის ძიებაში იყო, როცა უკვე რუსეთში მესამედ კარდინალურად შეიცვალა პოლიტიკური ვითარება. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ადგილობრივმა გავლენიანმა პოლიტიკურმა ძალებმა არ ცნეს საბჭოთა ხელისუფლება. 1917 წლის 19 ნოემბერს შედგა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, რომელსაც ესწრებოდა ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის, სხვადასხვა ხალხების წარმომადგენლები. ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია გახდა. ეროვნული საბჭო პრაქტიკულად საქართველოს მთავრობის ფუნქციას ასრულებდა. 15 ნოემბრიდან თბილისში ამოქმედდა ამიერკავკასიის კომისარიატი (თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორი). ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნით ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ პოლიტიკოსებს სურდათ, ნინ აღდგომოდნენ საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების ორგანოს დანიშვნას, ანუ ამიერკავკასიაზე საბჭოთა რუსეთის მთავრობის იურისდიქციის გავრცელებას. რუსეთის დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელ დეპუტატთაგან შეიქმნა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო—ამიერკავკასიის სეიმი.

* * *

რუსეთის კავკასიის არმია ბოლშევიკური აგიტაციის შედეგად უმართავ ძალად იქცა. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა, სწორედ ამ სამხედრო ძალით მოეხდინა ამიერკავკასიის ოკუპაცია. 1918 წლის იანვარში კავკასიის ფრონტზე განლაგებული არმიის ნაწილებმა ფრონტის ხაზები მიატოვეს და თბილისისკენ დაიძრნენ. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, ახალშექმნილმა ქართულმა რეგულარულმა ჯარმა (პირველმა ქართულმა კორპუსმა) და სახალხო გვარდიის ნაწილებმა შეძლეს რუსეთის არმიის შეჩერება. რუსები იძულებულნი გახდნენ, თბილისის ოკუპაციაზე ხელი აეღოთ და ბაქოსკენ დაიხიეს. ამიერკავკასიის კომისარიატმა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები არ ცნო. 1918 წლის პირველ აპრილს ოსმალეთმა ბათუმის ოლქი, გურიის ნაწილი და სამცხე-ჯავახეთი დაიკავა. 1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა გამოაცხადა დამოუკიდებელი სახელმწიფოს—ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა. ამიერკავკასიის დელეგაცია ოსმალეთის დელეგაციასთან მოლაპარაკებისათვის გაემგზავრა ბათუმში, სადაც დელეგაციათა ერთადერთი შეხვედრა 1918 წლის 11 მაისს გაიმართა. ბათუმის მოლაპარაკებაზე გაირკვა, რომ ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას შინაგანი წინააღმდეგობა ღრღნიდა. სულ უფრო აშკარა ხდებოდა, რომ ქართველები გერმანოფილურ, სომხები ანგლოფილურ, ხოლო აზერბაიჯანელები თურქოფილურ ორიენტაციას აღიარებდნენ. გენერალმა ოტო ფონ ლოსომ აკაკი ჩხენკელს განუცხადა, რომ შექმნილ ვითარებაში გერმანიის იმპერია ოსმალეთის აგრესიისგან ამიერკავკასიის ფედერაციას ვერ დაიცავდა, ხოლო თუ ქართველებს გერმანიის მფარველობა სურდათ, უნდა გამოეცხადებინათ დამოუკიდებლობა, ანუ ამიერკავკასიის რესპუბლიკა უნდა დაშლილიყო. გენერალი ოტო ფონ ლოსო ქართველებს პირდებოდა, რომ ამ შემთხვევაში იგი იშუამდგომლებდა გერმანიის იმპერიის მთავრობის წინაშე საქართველოს დაცვის თაობაზე.

1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის ფედერაციამ არსებობა შეწყვიტა და იმავე დღეს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. მომდევნო დღეებში დამოუკიდებლობა გამოაცხადეს აგრეთვე სომხეთმა და აზერბაიჯანმა.

დამოუკიდებლობის გამოცხადება

წლის 24 მაისს, ფრეილინის ქუჩაზე, ეროვნული საბჭოს რეზიდენციაში გაიმართა ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. კრებაზე განიხილეს აკაკი ჩხენკელის მიერ 1918 წლის 23 მაისს გამოგზავნილი წერილი. სხდომა 24 მაისს, ღამის 11 საათზე გაიხსნა. ჟორდანიამ დამსწრეთ გააცნო ბათუმიდან აკაკი ჩხენკელის მიერ გამოგზავნილი წერილის შინაარსი, სადაც იგი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დაჩქარებას ითხოვდა. 25 მაისს საღამოს 10 საათზე უნდა შეკრებილიყო ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც ამიერკავკასიის რესპუბლიკას დაშლილად გამოაცხადებდა. მოგვიანებით, სეიმის სომეხი და აზერბაიჯანელი დეპუტატების თხოვნით, სხდომა გადაიდო 26 მაისის დღის 12 საათისთვის. ნოე ჟორდანიამ დააყენა წინადადება: საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ მას შემდეგ, რაც სეიმი დაშლილად გამოაცხადებდა ამიერკავკასიის ფედერაციას. კენჭისყრის შედეგად საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას დაუყოვნებლივ, 25 მაისს ხმა მისცა ექვსმა წევრმა, 26 მაისს გამოცხადებას — ოთხმა წევრმა. 25 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადება მაინც ვერ მოხერხდა, რადგან აღმოჩნდა, რომ დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი სრულყოფილი არ იყო და გადამუშავებას საჭიროებდა. აქტის ტექსტის გადამუშავება და მისი საბოლოო ვარიანტის მომზადება ნოე ჟორდანიას დაევალა. საბოლოოდ აქტი იურისტმა გვაზავამ შეადგინა და წინასწარ გააცნო ჟორდანიას. მასში გარდა ნაციონალური დებულებებისა, იყო შეტანილი სოციალური საკითხებიც: რვა საათიანი სამუშაო დღე, მამულების კონფისკაცია და სხვ. ჟორდანიამ ამოიღო სოციალური დებულებები, როგორც შესაძლო გამთიშველი ელემენტები და დატოვა მხოლოდ ნაციონალურ-პოლიტიკური საკითხები.

1918 წლის 26 მაისს გოლოვინის პროსპექტზე მდებარე კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა გაიმართა, რომელმაც ნაშუადღევის 3 საათზე ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა. იმავე დარბაზში, ნაშუადღევის 4 საათსა და 50 წუთზე ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა გაიხსნა. მას 42 წევრი და 36 კანდიდატი ესწრებოდა. ნოე ჟორდანია სიტყვით გამოვიდა და მისი დასრულების შემდეგ წაიკითხა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“. ეროვნულმა საბჭომ დამოუკიდებლობის აქტი ერთხმად დაამტკიცა. ამავე სხდომაზე დაამტკიცეს სამინისტროების რაოდენობა და მთავრობის პერსონალური შემადგენლობა. ასევე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს ეროვნული საბჭოსთვის ეწოდებინათ საქართველოს პარლამენტი.

დამოუკიდებლობის აქტი შემდგომ დაადასტურა და ოფიციალურად გამოსცა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, პირველსავე სხდომაზე, 1919 წლის 12 მარტს. დამოუკიდებლობის აქტში ნათქვამი იყო:

1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენული უფლებების მატარებელია, ხოლო საქართველო—სრულფასოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმაა—დემოკრატიული რესპუბლიკა.

3. საერთაშორისო ომებში საქართველო მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფოა.

4. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანაბრად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს მიუხედავად მისი ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ქმნის ყველა პირობას მის ტერიტორიაზე მცხოვრები ერების თავისუფალი განვითარებისათვის.

სახელმწიფო ხელისუფლება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იყო პარლამენტი (დამფუძნებელი კრება), ხოლო აღმასრულებელი ორგანო—მინისტრთა საბჭო (მთავრობა), რომელიც ანგარიშვალდებული იყო პარლამენტის წინაშე. 1918 წლის მთავრობა კოალიციური იყო.

1919 წლის მარტში ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 60%-მა. დამფუძნებელმა კრებამ შეცვალა ეროვნული საბჭო და დაამტკიცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 1918 წლის 26 მაისის აქტის სამართლებრივი ძალმოსილება. დამფუძნებელ კრებაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამარჯვების შემდეგ მთავრობა მხოლოდ ამ პარტიამ დააკომპლექტა.

საშინაო მდგომარეობა

ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში ქვეყნის ხელმძღვანელობამ შეძლო მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება: დაადგინა რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრები, ქართული ენა გამოაცხადა სახელმწიფო ენად, განახორციელა სასამართლო რეფორმა, ჩამოაყალიბა ეროვნული გვარდია და რეგულარული არმია, ჩამოაყალიბა ადგილობრივი მართვის ორგანოები, პროფესიული კავშირები, მიიღო რესპუბლიკის კონსტიტუცია.

ამასთან ერთად მძიმე რჩებოდა ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა, რასაც აქტიურად იყენებდნენ ოპოზიციური ძალები, უპირველეს ყოვლისა - ბოლშევიკები. მათი ხელშეწყობით ადგილი ჰქონდა მუშათა გაფიცვებს და გლეხთა აჯანყებებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. მიუხედავად ამისა, მკაცრი პოლიტიკური დისციპლინის წყალობით, თავიდან იქნა აცილებული რუსეთის ტერიტორიიდან სამოქალაქო ომის გავრცელების საშიშროება.

საქართველოს დემოკრა-ტიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე-ფაქტო აღიარება

ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც დე-ფაქტო დასტური მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას, თურქეთი იყო (1918 წლის 3 ივნისი). თურქეთმა თავისი პოლიტიკური განზრახვა საქართველოს დამოუკიდებლობის დე-იურე აღიარებითაც დაადასტურა. შემდეგი სახელმწიფო, რომელმაც საქართველო დე-ფაქტო აღიარა, გერმანია იყო (1918 წლის 10 ივნისი).

სულ საქართველოს დამოუკიდებლობა დე-ფაქტოდ ცნო 12 სახელმწიფომ:

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე-იურე აღიარება

მიუხედავად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ინსტიტუტების სტაბილურობისა, საბჭოთა რუსეთიც და დასავლეთის ქვეყნებიც თავს იკავებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარებისაგან. ისინი ქართულ საკითხს რუსეთთან ურთიერთობების კონტექსტში განიხილავდნენ და თავს არიდებდნენ მასთან ურთიერთობების გაფუჭებას.

მდგომარეობა შეიცვალა მას შემდეგ, რაც თვით რუსეთმა ცნო დე იურე საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს მოხდა ორ ქვეყანას შორის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, რომელმაც ხელი შეუწყო ახალგაზრდა სახელმწიფოს სუვერენიტეტისადმი პატივისცემის ზრდას, რასაც მოჰყვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება მთელი რიგი ქვეყნების მიერ. ნიშანდობლივია, რომ დამოუკიდებლობის აღიარება საქართველოს ოკუპაციის შემდეგაც გრძელდებოდა.

1920 წლის დასაწყისში საბჭოთა რუსეთმა სამოქალაქო ომში გარდატეხას მიაღწია: მოიგერია პოლონეთის არმიისა და თეთრგვარდიელი გენერლის ვრანგელის შემოტევები, შემდეგ კი დაამარცხა დენიკინის არმია და ამიერკავკასიის საზღვრებს მიუახლოვდა. აპრილში XI არმიამ აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა, მაისის დასაწყისში კი შემოიჭრა საქართველოში, მაგრამ უშედეგოდ. მისი შემდგომი ცდები ოკუპაციისა დროებით აღკვეთა საბჭოთა რუსეთთან 1920 წლის 7 მაისს გაფორმებულმა ხელშეკრულებამ. საქართველოს მთავრობა იმედოვნებდა, რომ აღნიშნული ხელშეკრულება ხელს შეუშლიდა წითელი არმიის შემოსვლას საქართველოში. 1920 წლის დეკემბერში აზერბაიჯანის ბედი გაიზიარა სომხეთმაც, რამაც გარდაუვალი გახადა საქართველოს გასაბჭოებაც.

* * *

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა არმია (მე-11, მე-9, მე-3, მე-13 არმიები, ბუდიონის და ჟლობის კავალერიები) რამდენიმე მხრიდან შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე. მოკავშირეების გარეშე, ბედის ანაბარად მიტოვებულმა ქვეყანამ ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა რუსეთის არმიას, რომელმაც დაიკავა თბილისი და აქ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბათუმში გადავიდა, ხოლო იმავე წლის 17 მარტს დატოვა საქართველო და ემიგრაციაში წავიდა. საბრძოლო მოქმედებები მარტის მეორე ნახევრამდე გრძელდებოდა.

გამოცხადდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც ფორმალურად ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას, რაც აღიარებულ იქნა 1921 წლის 21 მაისის ახალი ხელშეკრულებით და 1922 წლის კონსტიტუციით, თუმცა იურიდიული ფორმა არ შეესაბამებოდა პოლიტიკურ სინამდვილეს.

რას ითვალისწინებს განათლების ანტიკრიზისული გეგმა

15 მაისს გამართულ მთავრობის სხდომაზე განათლების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა „განათლების ანტიკრიზისული გეგმა“ წარადგინა, სადაც მოცემულია ზოგადი თუ უმაღლესი განათლების საკითხებში მთავრობის სამომავლო გეგმები. მოკლედ თუ რაზე იყო საუბარი ამ გეგმაში.

ტელესკოლა, მისი დამატებები და „ახალი სკოლის მოდელი“

დისტანციური სწავლების პროექტ „ტელესკოლას“, რომელიც აქამდე I-XII კლასებისთვის ითვალისწინებდა გაკვეთილებს, ახალი დეტალები ემატება: მინისტრის თქმით, მაისის შუა რიცხვებიდან დაიწყება პროფესიული ორიენტაციის გაკვეთილები და „აბიტურიენტის სააათი“, სადაც აბიტურიენტებს ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებით ინფორმაციას მიაწვდიან.

ასევე, EMIS-თან თანამშრომლობით სამინისტრო აპირებს Microsoft Office 365-ის 600 000 ანგარიში შექმნას სკოლის მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის, მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის, ხოლო Microsoft TEAMS-ის პლატფორმაზე — „ვირტუალური საკლასო ოთახები“. სხვა დეტალები ამ პროექტებთან დაკავშირებით პრეზენტაციაზე არ დაკონკრეტებულა.

ახსენეს აგრეთვე „ქართული ონლაინ პლატფორმა“ Feedc, რომელზეც, სამინისტროს ცნობით, დავალებების გაზიარება, დოკუმენტების ატვირთვა-ჩამოტვირთვა და ჯგუფური მეცადინობაა შესაძლებელი.

სასწავლო წლის დასრულების ვადები და მოსწავლეების შეფასება

სასწავლო წელი, როგორც ადრე, სხვადასხვა კლასის მოსწავლეებისთვის განსხვავებულ დროს დასრულდება: პირველები ამთავრებენ მეთორმეტეკლასელები — 20 მაისს, უკვე დაასრულეს, აღნიშნეს კიდეც. 1 კვირაში, ანუ 27 მაისს — ეს პირველკლასელებმა გააკეთეს, ხოლო 15 ივნისს სწავლას ყველა სხვა კლასის მოსწავლეებიც დაასრულებენ. რა ფორმით დაიწყება შემდეგი სასწავლო წელი, ჯერჯერობით უცნობია.

გარდა ამისა, სამინისტრო აანონსებს მოსწავლეთა შეფასების ახალი მოდელის—კერძოდ, სავალდებულო ხდება ორი ტიპის, „განმვავითარებელი“ და „განმსაზღვრელი“ შეფასება. „განმავითარებელი შეფასების“ ფარგლებში მოსწავლე აფასებს სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლის განვითარების დინამიკას, ხოლო „განმსაზღვრელი“ ადგენს მოსწავლის დონეს, მასში იწერება ქულაც.

აგრეთვე, სკოლებს მიეცემათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვრონ მოსწავლის წლიური შეფასების კრიტერიუმები. ეს კრიტერიუმებია:

— 2019-20 სასწავლო წლის I სემესტრის შეფასება;

— 2019-20 სასწავლო წლის I სემესტრის, II სემესტრის ექვსი კვირის და დისტანციურ გაკვეთილებში მონაწილეობისთვის მიღებული შეფასების საშუალო არითმეტიკული;

— V კლასელებისთვის — 2019-20 წლის II სემესტრის ექვსი კვირისა და დისტანციურ გაკვეთილებში მონაწილეობისთვის მიღებული შეფასების საშუალო არითმეტიკული;

— I სემესტრში შეფასების არქონის შემთხვევაში — 2019-20 წლის II სემესტრის ექვსი კვირისა და დისტანციურ გაკვეთილებში მონაწილეობისთვის მიღებული შეფასების საშუალო არითმეტიკული.

შესაძლებელი იქნება აგრეთვე მოსწავლის მიერ შეფასების ამაღლება, თუმცა განსხვავებული იქნება პროცედურა. კერძოდ:

— XII კლასის მოსწავლეების შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის შემდეგ (21 მაისიდან 29 მაისამდე) სკოლა 2020 წლის 19 ივნისამდე მოსწავლეს აძლევს შემაჯამებელ კომპლექსურ დავალებას, რომლის საფუძველზეც ხდება მისი შეფასება;

— IX კლასის მოსწავლეების შემთხვევაში, რომელიც გადის ზოგადი განათლების სისტემიდან — მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის შემდეგ (16 ივნისიდან 19 ივნისის ჩათვლით) სკოლა 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით მოსწავლეს აძლევს შემეაჯამებელკომპლექსურ დავალებას, რომლის საფუძველზეც ხდება მისი შეფასება;

— სხვა შემთხვევებში, მოსწავლის წარმომადგენელი 16 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით მიმართავს სკოლას და ნიშნის ამაღლების სურვილს აფიქსირებს, რისი შანსიც მოსწავლეს 2020-21 სასწავლო წლის I სემესტრში მიეცემა.

ეროვნული გამოცდები

ეროვნული გამოცდების გადადება, სამინისტროს ცნობით, ამ ეტაპზე არ განიხილება, ხოლო მათი ჩატარების თარიღი ივნისში გახდება ცნობილი.

არსებული ვითარებიდან გამომდინარე, სამინისტროს თანახმად, უზრუნველყოფილი იქნება დისტანციისა და ჰიგიენური ზომების დაცვის ნორმები, ხოლო ერთ სივრცეში არ განთავსდება 10 აბიტურიენტზე მეტი.

უმაღლესი სასწავლებლები — ფინალური გამოცდები და საბაკალავრო-სამაგისტრო ნაშრომები და სწავლის გადასახადი

ფინალური გამოცდების ჩატარება, სამინისტროს ცნობით, მოხდება შეზღუდვების შემსუბუქების VI ეტაპზე, ანუ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაბრუნების შემდეგ და „ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტების რეკომენდაციების საფუძველზე“. რაც შეეხება მათი და შუალედური გამოცდების შეფასებას, ისინი განსაზღვრულია უნივერსიტეტების მიერ.

საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვა კი, სამინისტროს გეგმით, მოხდება ინდივიდუალური გრაფიკით, სტუდენტისა და ხელმძღვანელის შეთანხმების საფუძველზე.

აგრეთვე, განათლების სამინისტრო აცხადებს, რომ უმაღლეს სასწავლებლებს მისცა სწავლის გადასახადთან დაკავშირებით „საშეღავათო პოლიტიკის რეკომენდაცია“, ხოლო უნივერსიტეტებმა მოახდინეს სწავლის საფასურის გადახდის გადავადება ან მოხდა გადახდის მოქნილი გრაფიკის შემუშავება.

რაც შეეხება 2019-20 სასწავლო წლის გაზაფხულის გრანტებს, სტიპენდიებს და ა.შ, სამინისტროში ამბობენ, რომ მათი გაცემის პროგრამა სრულად იქნება უზრუნველყოფილი.

პროფესიული განათლება

გრძელვადიან პროგრამებზე პროფესიულ სასწავლებლებში, სამინისტროს თანახმად, საშემოდგომო მიღება 20 მაისიდან, ხოლო 12 ოქტომბრიდან სწავლა დაიწყება.

რაც შეეხება ამ სემესტრს, სწავლა უნდა აღდგეს შეზღუდვების შემსუბუქების მეექვსე ეტაპიდან.

რედაქტორის მინაწერი: თუ როგორ მიდიოდა და საერთოდ როგორ წარიმართა ეს პროცესი საგანგებო რეჟიმის პირობებში, ჩვენ მისი მონაწილე ორივე მხარისგან ანუ მოსწავლე-მასწავლებლისგან კარგად ვართ ინფორმირებული, თუმც შეიძლება მათი შეფასებები შეიძლება სუბიექტურიც იყოს. ასეთის ფონზე ჩვენ განსაკუთრებით გვაინტერესებს სამინისტროს მიერ დაანონსებული ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში ჩვენი მუნიციპალიტეტის ფორმატში გაკეთებული შემაჯამებელი შედეგები და სიამოვნებით გავასაჯაროებთ მათ. როგორც ყოველთვის, იმედს ვიტოვებთ, რომ განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქალბატონი ქეთევან შეყრილაძე, ტრადიციულად, მისთვის დამახასიათებელი ოპერატიულობით მოგვაწვდის ასეთ ინფორმაციებს.

P.S. მკითხველს შევახსენებთ, რომ კორონავირუსის პანდემიის მიზეზებით დაწესებული შეზღუდვების გამო, საქართველოში სასწავლო დაწესებულებებში სწავლება 4 მარტს შეჩერდა და ონლაინ რეჟიმში გადავიდა.

უცნაური სასწავლო წელი და ჩუმი ბოლო ზარი...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელის, ქეთევან შეყრილაძის ამ წერილის ეს სათაური, მისივე ლექსში გაჟღერებული იმ სევდიანი განწყობის გამოა შერჩეული, რაც კორონავირუსმა მოსწავლეებსა თუ აღმზრდელებს მოუტანა. ვფიქრობთ, ავტორის შეხედულებებს 2019-2020 სასწავლო წელთან დაკავშირებით თქვენც გაიზიარებთ...

რაღაც უცნაურად გარინდულა ირგვლივ გარემო და ბოლო ზარი
უხმოდ დაირეკა სკოლებში და უხმოდ დაიხურა სკოლის კარი,
მაგრამ ჩიტს აფრენას ვინ დაუშლის, გზები სამომავლო ელოდებათ,
რაღაც მთავრდება და უკითხავად რაღაც ახლებურის ჟამი დგება.
ყველას გეფერებით და გაცილებთ, საგზლად ცოდნას გატანთ,
სახვალიოდ,
იქნებ მოგვიტეოთ, ასე მშრალად, უხმოდ რომ გისტუმრებთ,
გვაპატიოთ . . .
დაე, მომავალმა გაგახაროთ, მალე მოგველოცოს სტუდენტობა . . .
წლები გასულა და ბოლო ზარი ჩუმად, უხმაუროდ ირეკება.

კურსდამთავრებულთა კიდევ ერთი თაობა დაემშვიდობა მშობლიურ სკოლას. . .

2019 – 2020 სასწავლო წელი დასასრულს მიუახლოვდა.

თითქოს, ამაში არაფერია არაბუნებრივი და გასაოცარი, თუმცა...

ცხოვრება მართლაც რომ სავსეა სიურპრიზებით და ეს სიურპრიზები ყოველთვის სასიამოვნო როდია.

აქვე უნდა ვაღიაროთ, ცხოვრების გზაზე მოულოდნელად გაჩენილი დაბრკოლებები დაფარულ უნარებსა და შესაძლებლობებს წარმოაჩენს, ახალი სასიცოცხლო ძალებით აღავსებს როგორც პიროვნებას, ისე საზოგადოებას. დინების საწინააღმდეგოდ დაბრკოლებებთან ბრძოლა აძლიერებს, განვითარების ახალ ეტაპზე აყავს და არა მარტო გარეგნულად, შინაარსობრივადაც ცვლის ჩვენს ცხოვრებას.

მოგეხსენებათ, განვითარებულმა მოვლენებმა საკმაოდ რთული გამოწვევების წინაშე დააყენა ჩვენი სკოლა და, საერთოდ, განათლების სისტემა, თუმცა უკვე შეიძლება თამამად ითქვას, რომ სკოლებმა და პედაგოგებმა, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად, სწრაფად აუღეს ალღო შექმნილ სიტუაციას და ერთიანი ძალისხმევით შეძლეს 2019 – 2020 სასწავლო წლის ბოლომდე მიყვანა.

ფასდაუდებელია ის გამოცდილება, რაც პედაგოგებმა, მოსწავლეებმა და მთლიანად სისტემამ მიიღო ამ პერიოდში ტექნოლოგიების გამოყენების, სწავლების ალტერნატიული ფორმების და მეთოდების შესახებ. ალბათ, წლები იქნებოდა საჭირო ტექნოლოგიების მიმართულებით იმ ცოდნის მისაღებად, რაც მასწავლებლებმა შეძლეს უმოკლეს პერიოდში. ბევრმა ახალი შესაძლებლობებიც კი აღმოაჩინა საკუთარ თავში.

ეს მარტივი არავის ეგონოს...

მაშინ, როცა ყველგან არ არის ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, არ არის შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკა, პედაგოგთა დიდ ნაწილს არ ჰქონდა „ონლაინ სწავლების“ გამოცდილება, სასწავლო პროცესი თითქმის არსად არ შეფერხებულა. სამინისტროს მიერ შემოთავაზებული ინსტრუმენტების წყალობით, (როგორიცაა მაგალითად „teams“ - ი, „zoom“ - ი „Feedc Edu“, ტელესკოლა) მესენჯერის, უკიდურეს შემთხვევაში, სატელეფონო ზარის გამოყენებით სწავლება უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა. სკოლებმა შეიმუშავეს ონლაინგაკვეთილების ცხრილი, ესგ - ში შესული ცვლილებების შესაბამისად, აამუშავეს შეფასების ახალი სისტემა.

პარალელურ რეჟიმში ამოქმედდა პედაგოგთა ონლაინ გადამზადებისა და დახმარების სისტემები. უნდა ითქვას, რომ ამ პროცესში აქტიურად ჩაერთვნენ „ახალი სკოლის მოდელის“ პროექტში ჩართული სკოლები, ამ პროექტის ექსპერტები.

ჩვენი რაიონის სინამდვილეში ამ პროექტში დღემდე 2 სკოლა იყო ჩართული - თერჯოლის №2 და ჩხარის №1. სწორედ მათ „მიება“ დანარჩენი სკოლები და კვირაში ორჯერ, მათი ექსპერტები, საკონსულტაციო შეხვედრებს მართავენ პედაგოგებთან მათთვის საინტერესო და საჭირო საკითხებში უკეთ გარკვევის მიზნით.

საერთო ჯამში, დისტანციური სწავლების პროცესში პედაგოგებმა, ტექნიკურ საკითხებს თავი კარგად გაართვეს, თუმცა, არის რამდენიმე თემა, რასაც მომავალში სისტემამ ყურადღება უნდა მიაქციოს.

· ელექტრონული რესურსების ნაკლებობა;

· ტექნოლოგიების კუთხით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების არასაკმარისობა;

· ტექნოლოგიების კუთხით მოსწავლეთა არასაკმარისი აღჭურვა;

· ინტერნეტზე წვდომის პრობლემა.

არადა, ფაქტია, როგორც მასწავლებლის სახლის დირექტორის მოადგილე, ქალბატონი მანანა რატიანი აღნიშნავს, „ამ გამოცდილების შემდეგ, ბევრს მოეწონა ტექნოლოგიურად გამდიდრებული სასწავლო პროცესი. ამის გადატანა საკლასო ოთახში ძალიან წარმატებით შეიძლება. ის საკლასო ოთახები, რომლებიც უკვე შექმნილი აქვთ მასწავლებლებს, შეიძლება კლასგარეშე აქტივობების და პროექტზე დაფუძნებული სწავლების დროს დაიხმარონ. ვფიქრობ, რომ ამ კრიზისულ ვითარებას და მობილიზებას, რაც ამ პერიოდში მასწავლებლებმა გააკეთეს, ძალიან კარგი შედეგი შეიძლება ჰქონდეს და ბევრად უფრო გაამდიდროს სასწავლო პროცესი ვიზუალური, ელექტრონული მასალებით.

საკლასო პროცესი ვეღარასდროს იქნება ისეთი, როგორიც იყო, ანუ 99%-ით მხოლოდ სახელმძღვანელოზე დაფუძნებული გაკვეთილი უკვე ვეღარ ჩატარდება საკლასო ოთახში“.

დადებითი, რაც შეიძლება ითქვას, მოჰყვა შექმნილ სიტუაციას, არის ის, რომ:

· შეიქმნა კომპლექსური საშინაო დავალებების კრებულები;

· მომზადდა ახალი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ავტორთა განმარტებით, ონლაინსაგანმანათლებო რესურსების შექმნას ითვალისწინებს, როგორც ზოგადი განათლების, ასევე სკოლამდელი განათლების მიმართულებით.

☞10

„ზოგი ჭირი მარგებელია?!!“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 15 აპრილის ნომერში (№8) გამოქვეყნდა გაზეთის რედაქტორის წერილი, სადაც არაორაზროვნად, არამედ პირიქით—არსებული რეალობის გათვალისწინებით ერთდროულად იყო გამოყენებული კითხვისა და ძახილის ნიშნები—იმის ხაზგასასმელად, რომ ახალმა კორონავირუსმა და მისგან გამოწვეულმა პანდემიამ კაცობრიობას, დიდ უბედურებასთან ერთად სიკეთეებიც მოუტანა...

„თერჯოლის“ ჟურნალისტი ამჯერად ერთ-ერთ ამ სიკეთეზე მოგითხრობთ, თუმც შეიძლება ეს ფაქტები ბევრმა ასე არ მიიღოს და აღიქვას...

„ზოგი ჭირი მარგებელიაო“, ასე უთქვამთ ჩვენს ძველებს და არის ამაში სიმართლის ნატამალი. მშვენიერი ქართული ფილმიც არის ამ სათაურით. მის სიუჟეტში, სოფელზე თავს დამტყდარი უბედურების დროს, ისეთი კარგი ამბავი ხდება, რომელიც სხვა ვითარებაში ალბათ, არც მოხდებოდა. ის გვინდა ვთქვათ, რომ მსოფლიო პანდემიამ, მშობლიური მიწა-წყლისკენ ბევრ მიგრანტს აქნევინა პირი. იმდენად ბევრს, რომ ხელისუფლებამ სპეციალური ავიარეისები განახორციელა მათ ჩამოსაყვანად. ბევრი ლუკმა-პურის საშოვნელად ქალაქიდან წასული დაბრუნდა სოფელში და არაერთ ურდულდადებულ ჭიშკარს აეხსნა ბოქლომი, კვლავ გაცოცხლდა სულიერს დანატრებული ეზორიადაგე.

მეორე გასახარელი ისაა, რომ ჩამოსულები (სოფელი მაქვს მხედველობაში), რაღაც განსაკუთრებული მონდომებით შეუდგნენ საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავებას. ყოველ მათგანს სურს სარჩო-საბადებელი მოიწიოს, საკუთარი მონაგარი ჰქონდეს ბეღელში, რათა რაიმე მოსალოდნელი გართულების დროს, შიმშილის ზღვარზე არ აღმოჩნდეს.

კორონავირუსის მოგერიების პირობებში გვქონდა საშუალება, რამოდენიმე რესპოდენტს გავსაუბრებოდით.

დ. ბუცხრიკიძე, სოფ. ახალთერჯოლა: რამდენიმე წელია უცხოეთში ვარ წასული სამუშაოდ. მეც, ჩემი მეუღლეც. არაა იოლი მშობლიურ კერას მოსწყდე და უცხოეთში გადაიხვეწო, მაგრამ, როცა სამუშაოს ვერ შოულობ, ოჯახი კი სარჩენი გაქვს სხვა რა უნდა ქნა. უამრავი ქართველია იტალიაში ჩასული სამუშაოდ. ქვეყნის რომელ კუთხეში არ შეხვდებით მათ. კარგი, თბილი ხალხია იტალიელები, მშრომელები რა თქმა უნდა. აყვავებულია იქაურობა. საათივითაა აწყობილი სოფლის მეურნეობის საქმე. ოღონდ არ იქურდო, არ იყაჩაღო და თუ რაიმეს კეთების თავი გაქვს, მხარში დაგიდგებიან. ბევრმა ქართველმა ააწყო იქ ბიზნესი, ფერმერი გახდა, წელში გაიმართა ეკონომიურად. ჩვენც არ ვუჩიოდით ბედს. სამწუხაროდ, კორონავირუსის პანდემიამ იჩინა თავი. მართალია ეპიცენტრი პანდემიისა რომში იყო, ფლორენციაში, ერთ პატარა ქალაქში სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, მსგავსი არაფერი ყოფილა, მაგრამ მოგეხსენებათ შიშს დიდი თვალები აქვსო და გადავწყვიტეთ წამოვსულიყავით. კვლავ წავალთ იტალიაში თუ არა ახლა ამაზე საუბარი ნაადრევია. ისე მომენატრა მეზობლები მინდა ყველას ჩამოვუარო და მოვეფერო, მაგრამ ვერიდები, გამიგებთ რატომაც. იტალიაში ვართ ნაცხოვრები და ისინიც გვერიდებიან. თქვენ პირველები ხართ, ვინც შემომეხმიანა სამეზობლოდან. გაივლის ყველაფერი, ცხოვრება კალაპოტში ჩადგება და ერთი ძველებურად, კარგად მოვილხინოთ უნდა.

გ. ქოჩიაშვილი, ქ. თერჯოლა: ჩვენი პატრიარქი, იცით ყველამ, სულ გვაფრთხილებს მიწებს არ შეელიოთ, არ გაყიდოთ, რაც შეიძლება საკუთარი ხელით მეტი პროდუქტი აწარმოეთ, მოვა დრო ყოველ გოჯ მიწას ოქროს ფასი დაედებაო, მაგრამ ბევრი როდი ისმენს ამ შეგონებას. მიდიან გარე საშოვარზე (უმეტესობა უცხოეთში) და ტოვებენ გაპარტახებულ სავარგულებს. სხვისი რა გვიკვირს, ჩემებიც წავიდნენ. თბილისიდან და უცხოეთიდან მართლაც ძნელია საკარმიდამო ნაკვეთს მოუარო, მაგრამ აგერ ქუთაისში, რომ ხარ რა გიშლის ხელს, დილიდან საღამომდე უქმად რომ ზიხარ, ჩამოდი და დაამუშავე. უკვე იმ ასაკში ვარ, შრომა აღარ შემიძლია. საყანე ფართობი და ვენახი მაქვს ისეთი ავ თვალს არ ენახვება, გული მტკივა, რომ მოუვლელობით კნინდება. ახლობლები მყავს ქუთაისში სულ ვეუბნებოდი—ჩამოდით, დაამუშავეთ, სულ თქვენი იყოს, რასაც მოიწევთ, წილშიც არ ჩაგიდგებით-თქო, ვინ გამიგონა. ახლა, იკადრეს, კორონასგან შეშინებული ხალხი მაღაზიებს რომ მიაწყდა პროდუქტის მოსამარაგებლად, ჩამოვიდნენ, დაამუშავეს ყანაც, ვენახიც. სხვაც ბევრი იქცევა ასე, სამეზობლოში სავარგულები ახმიანდა. კაცი, რასაც მოიწევს, ბეღელში დააბინავებს და გული საგულეს ექნება. მაგრამ საკითხავი ისაა, მაინც და მაინც ეპიდემია უნდა მოედოს ქვეყანას, რომ ადგილ-მამულს მიხედო და საკუთარ ეზო-რიადაგეს მოუარო?

გ. მარუაშვილი, სოფ. სკანდე: ახალს არაფერს ვიტყვი, რადგან ასე იყო ოდითგან: მიწა იყო მარჩენალი ქართველი კაცისათვის. როცა წელში იყო გამართული სოფელი და უხვად მოდიოდა ჭირნახული, შესაბამისად, ძლიერი იყო ქალაქიც და მთლიანად ქვეყანაც. დღესდღეობით, მიზეზთა და მიზეზთა გამო, გაუჭირდა სოფელს, მეურნე კაცმა გული აიცრუა მიწაზე და აი, შედეგიც, სოფლელიც კი ბაზარში ყიდულობს პროდუქტს, მათ შორის სიმინდს, ლობიოს, პურის კაკალზე აღარაა ლაპარაკი,—მწვანილსაც კი.

არიან ცალკეული გამრჯე მეურნეები, მაგრამ ისინი როგორ შექმნიან კლიმატს, როცა ცა და ქვეყანა უცხოეთში მიდის სამუშაოდ.

პროფესიით ინჟინერი ვარ, მეუღლე ლექციებს კითხულობდა ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 90-იან წლებში, ქვეყანა რომ აინგრა და აილეწა, სოფელს მოვაშურეთ, მამა-პაპური მეურნეობა ფეხზე დავაყენეთ. საყოლიებელიც გავიჩინეთ—მეწველი ფურები, დედა ღორები, კრუხ-წიწილა. ისეთი სათბური გავაკეთეთ, მეზობელი სოფლებიდან მოდიოდნენ კიტრ-პომიდორისა და მწვანილის საყიდლად. ყოველივე ამას მკლავებდაკაპიწებული შრომა უნდა. ვიღწვით მუხლჩაუხრელად და ოჯახიც გამართული გვაქვს. პანდემიამ ჩვენც ძალიან დაგვამწუხრა, მაგრამ იმის შიშისაგან მაინც არ გამსკდომია გული, არიქა პროდუქტი სად ვიშოვოთქო. ჩემი მაქვს ყველაფერი. ვიცი ბევრი ალმაცერად გვიყურებდა, რა თავს იკლავენ შრომით, რა ჯაფასა და განამაწიაში არიან, ადამიანებს აღარ გვანანო. ახლა იცოცხლე, თავადაც დატრიალდნენ დახნეს და დათესეს: ბევრი ქალაქიდანაც დაბრუნდა სოფელში, წლების მანძილზე ბელტი რომ არ გადაუბრუნებიათ, ახლა გულმოდგინედ ზრუნავენ მიწაზე...

ერთიც ცხადია და აუცილებელი. სოფლის მეურნე კაცს კიდევ უფრო მეტი დახმარება სჭირდება, როგორც პროდუქტის მოყვანაში, ისე მის რეალიზაციაში;

ვიმედოვნებთ, რომ ასეც იქნება.

ი. მარუაშვილი

ოქროსხელება კაცი

კარგი სიტყვა კარგ ადამიანებზე

მიიწურა მაისი, მოძალდა საზაფხულო სამუშაოები. ვის სიმინდის ყანა აქვს გასათოხნ-გასაკულტივატორებელი, ვის ეზო-გარემოში აჯეჯილებული ბალახი—გამოსაცელი, ვის—ვენახი შესაწამლი...

მინიტექნიკის გამოყენებით თითოეული ცდილობს საქმეს დროულად გაართვას თავი, მაგრამ ეს დალოცვილი ზოგჯერ ისეთ დროს გიმტყუნებს, შუაგულ მუშაობაში რომ ხარ დამარქაფებული. ასეთ შემთხვევაში ბევრი ფიქრიც არაა საჭირო. აბა, ჩქარა ზვიადთან, ჩაილაპარაკებს გუნებაწამხდარი კაცი და ნაცნობ ოსტატს მიაშურებს. აგერ, ავტოსადგურის ტერიტორიაზე, ავტონაწილების მოვაჭრე პატარა მაღაზიის წინ ელოდებათ ოქროსხელება ოსტატი. ერთი შეათვალიერებს მწყობრიდან გამოსულ აგრეგატს და „დიაგ-

ნოზიც“ დასმულია.

იმდენმა მეურნემ გვითხრა მასზე კარგი, იმდენმა შეუქო ხელობა, რომ გადავწყვიტეთ გაზეთით გაგვეცნო ფართო მკითხველისათვის. თავად რესპონდენტმა იუარა; არაა საჭირო თავმდაბლად გვითხრა, აბა რაა საგაზეთო, მე ჩემს გასაკეთებელს ვაკეთებ და თუ კაცმა იმდენი არ იცი მომხმარებელს კეთილსინდისიერად მოემსახურო, საქმეს არც უნდა მოჰკიდო ხელიო. ცხადია, საჭირო ინფორმაცია მაინც მივიღეთ. ზვიად ცქიფურიშვილი 1978 წელსაა დაბადებული. სოფელ ტელეფის მკვიდრია. სკოლა დაამთავრა, მაგრამ რაიმე სპეციალური განათლება არ მიუღია. ჩხირკედელაობა ბავშვობიდანვე უყვარდა, რა ტექნიკაც არ უნდა ყოფილიყო შიგ ჩაძვრებოდა და მანამ არ მოეშვებოდა, სანამ მის ავან-ჩავანს არ გაიგებდა. „ხელმარჯვე ოსტატის“ სახელი უკვე სკოლადამთავრებულს ჰქონდა. ხან ვის რას შეუკეთებდა, ხან რას, სამწუხაროდ, სიჭაბუკის ასაკში ავარიაში მოჰყვა. სიკვდილს კი გადაურჩა, მაგრამ ცალი ფეხის ამპუტაცია გახდა აუცილებელი. ზვიადი სულით როდი დაეცა, როგორც ასეთ დროს არცთუ იშვიათად ხდება ხოლმე, გული გაიმაგრა და ცხოვრებას შეეჭიდა ენერგია მოზღვავებული. ბავშვობაში ამორჩეული საქმე პროფესიად გაიხადა და აგერ უკვე 2 ათეული წელია ზეინკალ-შემდუღებლის ხელობით ირჩენს თავს და განა მარტო თავს? მეუღლე ნათია წიწილაშვილთან ერთად 4 შვილს უზრდის მამულს. 3 ვაჟი და 1 ქალი მისი დიდი ოჯახის სიამაყეა. როგორც ვთქვით, ავტოსადგურის ტერიტორიაზე ავტო-ტრაქტორთა ნაწილების მაღაზია აქვს გახსნილი. მასში მეუღლეა დასაქმებული. არაა იოლი დღევანდელ შეჭირვებულ დროში, 6 სულიანი ოჯახის შენახვა, მაგრამ ზვიადი, მზრუნველ მეორე ნახევართან ერთად, ამ საამაყო საქმეს უნარიანად ართმევს თავს. საჭიროების შემთხვევაში ხელის გამმართველიც არის კუთხე-მეზობლისათვის. რაიონის რომელი სოფლიდან არ მოდიან მასთან მინიტექნიკის შესაკეთებლად. ისიც გულდასმით, საიმედოდ გაუწყობთ ხოლმე დაზიანებულ აგრეგატს და გამრჯე მეურნეებს კმაყოფილებს უშვებთ შინ.

ზვიად ცქიფურიშვილისთანა ხელმარჯვე, მიზანდასახული ადამიანები აძლიერებენ სოფელს და შესაბამისად ქვეყანას. ღმერთმა სიმხნევე არ მოაკლოს და სიხარული.

ი. ერაძე

კიდევ ერთი კარგი საქმე

თერჯოლა-ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატის, ბატონ ელგუჯა გოცირიძისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თაოსნობით მრავალი კეთილი და ლამაზი საქმე კეთდება ჩვენს რაიონში, მის ყველა სოფელში და დასახლებულ პუნქტში. მიმდინარე წლის 15 მაისიდან, ერთი კვირის განმავლობაში, ქალაქ თერჯოლის ოთხი ძმის ქუჩის მე-2 შესახვევში ჩატარდა საუბნო გზის რეაბილიტაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელ ბატონ ლაშა გოგიაშვილის და საკრებულოს დეპუტატის ბატონ იმედა რობაქიძის ხელმძღვანელობით.

მოსწორდა გზაზე არსებული ღრმულები, დაიყარა ალისუბნის კარიერიდან შემოტანილი ქვიშა და მოსწორებული იქნა იმავე დღეს ისე, რომ ხელი არ შეშლია არც ადამიანების და არც ტექნიკის გადაადგილებას. ამ საქმიანობამ ადგილობრივი მოსახლეობის კმაყოფილება გამოიწვია.

თქვენი რედაქციის საშუალებით მინდა მადლობა გადავუხადო ხელისუფლებას და ამ საქმის ხელმძღვანელებს მეტად საჭირო საქმის კეთებისათვის, მინდა ვუსურვო მათ დიდი წარმატებები ჩვენი მუნიციპალიტეტის და ჩვენი სამშობლოს აყვავების საქმეში.

აქვე მინდა შევახსენო მათ, ვისაც თერჯოლის 13 ქუჩის კოლექტიური განცხადება აწერია და მოსახლეობას თქვენი თანხმობა წერილობით აქვს მიღებული მდინარე ჩხარაზე ბონდის ხიდის აღდგენის თაობაზე, ეგებ გამონახოთ საჭირო თანხები და დაპირება შეგვისრულოთ, რადგან ყოველთვის, ძლიერი წვიმის შემდგომ, მოსახლეობა მოწყვეტილია საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთებს, მწყემსები საძოვრებს.

წინასწარ დიდი მადლობა დახმარებისათვის.

პატივისცემით ა. კახიძე

ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის ერთი წლის შედეგები

...მალე სამი წელი გახდება, რაც იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრი „თერჯოლამედი“ გაიხსნა. იმ დღეებში „თერჯოლამედის“ დამფუძნებელი და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ლადო კეპულაძე, ჩვენი თხოვნით, გაზეთ „თერჯოლას“ ესაუბრა იმ სერვისებზე, რასაც „თერჯოლამედი“ შესთავაზებდა მოსახლეობას. ასეთ დროს, თითქმის ყოველთვის ისმება ტრადიციული კითხვა—სამომავლო გეგმების შესახებ. ბატონმა ლადომ მაშინ თქვა, რომ იგეგმება ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პროფილაქტიკის სამსახურის შექმნა. გეგმა არც ისე შორეული აღმოჩნდა. ერთი წლის წინ, ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი გაიხსნა და სახეზეა პირველი შედეგები.

ამბულატორიული განყოფილება

ერთი წლის განმავლობაში, ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში ამბულატორიული მკურნალობა ჩაუტარდა 300-ზე მეტ ბენეფიციარს, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპით აქ მკურნალობას გადიან თერჯოლელი და ტყიბულელი პაციენტები, თუმცა, მარტო ხელმისაწვდომობა არ არის მთავარი, მკურნალობაც კვალიფიციურია და ამ სერვისის მისაღებად პაციენტები ხონსა და ქუთაისში აღარ დადიან, ისინი აქ იღებენ ძვირადღირებულ წამლებს, გაჩნდნენ ახალი პაციენტები, ზოგი თვითმომართვით, ზოგიც მობილურმა ჯგუფმა გამოავლინა. ამბულატორიაში ხდება შშმ პირებისათვის შესაბამისი სტატუსების დადგენა და დოკუმენტაციის მომზადება სოციალურ სააგენტოებში წარსადგენად.

ამბულატორიული განყოფილება დაკომპლექტებულია სრულად, სათანადო კადრებით.

ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრს აქვს თავისი აფთიაქი.

სტაციონალური განყოფილება

სტაციონალური განყოფილება 18 საწოლზეა, ორი—ნარკოლოგიური შემთხვევისთვის. 1 წლის განმავლობაში სტაციონალური მკურნალობა ოთხასზე მეტ პაციენტს ჩაუტარდა. აქ მკურნალობას გადიან მთელი საქართველოს მასშტაბით. აქ უმკურნალიათ: თერჯოლელ, გორელ, ახალციხელ, ადიგენელ, საგარეჯოელ, ზუგდიდელ, თბილისელ პაციენტებს. სტაციონარში ყოფნის ვადა არ არის განსაზღვრული, პაციენტები მკურნალობას გადიან იმდენ ხანს, რამდენიც სჭირდებათ. განსაკუთრებული კონტროლია მწვავე შემთხვევებზე.

პაციენტს აქვს ოთხჯერადი კვება. პალატებში არის გათბობა, ცივი და ცხელი წყალი, სველი წერტილები.

მობილური ჯგუფი

მობილური ჯგუფი წარმოდგენილია ორი ფსიქიატრით, 1 ფსიქოლოგით, 1 სოცმუშაკით, 1 მედდით. ბინაზე გამოძახების ეს სერვისი მოიცავს თერჯოლის, ტყიბულის, ონის, ამბროლაურის მუნიციპალიტეტების მოსახლეობას, სერვისში ჩართულია პაციენტები, რომლებიც დამოუკიდებლად ვერ ახერხებენ ცენტრში მოსვლას, ან არ ჰყავთ ისეთი ახლობლები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ მათ მკურნალობაში ჩართვას. მობილური ჯგუფის წევრებს, ეცნობიან რა მათ ფსიქიკურ მდგომარეობას, ბინაზე მიაქვთ მედიკამენტები, აფორმებენ ინფორმაციული თანხმობის ფურცელს. მობილურ ჯგუფს აღრიცხვაზე ჰყავთ წლების განმავლობაში გამოვლენილი პაციენტები, გამოვლენილია რამდენიმე ათეული ახალი ბენეფიციარი. მობილური ჯგუფი მუნიციპალიტეტის სოფლებში გადის თვეში ორჯერ.

* * *

„იმერმედი“ ჩართულია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში. ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრიც უფასოდ ემსახურება ბენეფიციარებს, როგორც ამბულატორიაში, სტაციონარში, ისე გასვლითი პროგრამის განხორციელებისას, უფასოა წამლებიც.

მადლიერება

ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის გახსნას საზოგადოების ერთ ნაწილში უსიამოვნო განწყობილება მოჰყვა, რაც სხვებზე ზრუნვის მაგალითად ვერ ჩაითვლება. ჰკითხეთ ბენეფიციარების ოჯახის წევრებს, როგორ უჭირდათ ქუთაისსა და ხონში ახლობელთა ჯანმრთელობის გაკონტროლება და წამლებზე სიარული. ჰკითხეთ ექიმ ფსიქიატრს, ცენტრის განყოფილების გამგეს ეკა ფაშკურიძეს, რამდენი კმაყოფილი, ჯანმრთელობაგაუმჯობესებული პაციენტი ჰყავს, რამდენის „ჭირისუფალი“ მადლიერი.

ცენტრში მიღებაზე მოსული პაციენტების და მათი ოჯახის წევრებისათვის შექმნილია ყურადღებიანი ატმოსფერო, თანამშრომლები გამოირჩევიან მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობით, პაციენტებისადმი ყურადღებით, ხელს უწყობთ კვალიფიკაციაც.

ყველგან და ყველაფერში ამინდს პირველი ხელმძღვანელი ქმნის. ასეა აქაც, ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის ხელმძღვანელი ექიმი ფსიქიატრი **დავით სარიშვილია.**

ჟუჟუნა ცხადაძე

უცნაური სასწავლო წელი და ჩუმი ბოლო ზარი...

8 ☞

· რაღაც ფორმით სკოლა შევიდა სახლებში და მშობლები იქცნენ გაკვეთილების აქტიურ მონაწილეებად. მშობლების როლი და გავლენა, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, სასწავლო პროცესში თვალსაჩინო გახდა.

სავარაუდოდ, ბევრი სიახლე, რაც ამ ფორსმაჟორულ სიტუაციაში იქნა გამოყენებული, სასარგებლო იქნება. არ დაიკარგება ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც სასკოლო საზოგადოების ყველა წევრმა დააგროვა ამ სიტუაციაში. ეს საშუალებას მისცემს მასწავლებლებს, მომავალში უფრო ეფექტიანად გამოიყენონ ელექტრონული ინსტრუმენტები. მაგალითად, დავალებების დიდი ნაწილი მოსწავლეებს ელექტრონულ ფორმატში მისცენ. ტრადიციულ გაკვეთილებთან ერთად ხშირად გამოიყენონ დისტანციური ჩართვები, უკვე შექმნილი რესურსები და ელექტრონული კურსები. ხშირი იქნება, ალბათ, მასწავლებლების დისტანციური შეხვედრები, ვებინარები და კონფერენციები. მთავარია, შევინარჩუნოთ, უზრუნველვყოთ ამ ახალი რეალობით მიღებული შედეგების მდგრადობა.

როგორც განათლების საკითხების მკვლევარი, სიმონ ჯანაშია აღნიშნავს, „ტექნოლოგიების გამოყენება თავისთავად მამოტივირებელია. როდესაც ბავშვს დავალების ისევ ქაღალდზე პასტით დაწერას მოსთხოვენ, შეიძლება მას უკვე ვიდეოს ჩაწერა ერჩივნოს. ამ პერიოდის შემდეგ, შესაძლებელია შერეული სწავლება უფრო პოპულარული გახდეს, სახელმწიფოსაც მოუწევს გარკვეული ნაბიჯების გადადგმა და კანონმდებლობის შეცვლა. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა საერთაშორისო სისტემებთან შევა კონკურენციაში და ეს დადებითი მოვლენაა.“

როგორც ამბობენ, „მედალს ორი მხარე აქვს“.

შექმნილმა სიტუაციამ გვიჩვენა ნაკლი და დაგვანახა განვითარების ახალი და საინტერესო პერსპექტივებიც.

ახლა ჯერი ჩვენზეა.

ვიდრე საბავშვო ბაღი და სკოლა მოუხმობთ...

საზანოს სკოლამ გამოწვევებს გაუძლო

სასწავლო წელი დასასრულს უახლოვდება, ოღონდ სრულიად განსხვავებულად. კორონავირუსის პანდემიის გამო მსოფლიო, შესაბამისად საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა, სასწავლო დაწესებულებები დისტანციურ სწავლებაზე გადავიდნენ.

როგორ წარიმართა დისტანციური სწავლება ზედა საზანოს საჯარო სკოლაში, მისცა თუ არა ასეთმა სწავლებამ მოსწავლეს ცოდნის ის დონე, რაც ჩვეულებრივ პირობებში სწავლებისას უნდა მიეღოთ, რა პირობებში იყვნენ მოსწავლეები, მასწავლებლები, ჰქონდათ თუ არა ინტერნეტთან წვდომა, როგორ შეფასებას აძლევენ ტელესკოლას, როგორც ყველასათვის ხელმისაწვდომს, როგორ იცავენ ჯანდაცვის რეკომენდაციებს, ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება საზანოს საჯარო სკოლის დირექტორი მამუკა მექვაბიძე.

მსოფლიოში გავრცელებულმა კორონავირუსმა უდიდესი განსაცდელის წინაშე დააყენა ჩვენი ქვეყანა. ქვეყნის ყველა რგოლი უდიდესი გამოწვევის წინაშე დადგა, მათ შორის განათლების სისტემაც. შეწყდა სწავლა, დაიხურა სკოლები. საჭირო გახდა სასწრაფოდ სწავლების ალტერნატიული ფორმების მოძიება.

ინოვაციური და შეიძლება ვთქვათ, უკვე წარმატებული პროექტი გახლავთ განათლების სამინისტროსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ შექმნილი ტელეგაკვეთილები. ზედა საზანოს საჯარო სკოლის 200 მოსწავლის, აბსოლუტური უმრავლესობა უყურებს და ეცნობა საინტერესო გაკვეთილებს.

სკოლის პედაგოგები დისტანციური სწავლებისას ონლაინ გაკვეთილების სასიამოვნოდ, სახალისოდ და ეფექტურად წარმართვისათვის აქტიურად იყენებენ, განათლების სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ, Microsoft office 365-ის პროდუქტებს Email, Microsoft Teams ასევე სოცქსელის Facebook messenger-ს და გამონაკლის შემთხვევაში მოსწავლეებს აძლევენ სატელეფონო კონსულტაციებს.

სწავლის შეწყვეტის შემდეგ, სკოლის ხელმძღვანელობის მიერ, შეიქმნა ონლაინ გაკვეთილების ცხრილი, რომელშიც გათვალისწინებული იქნა მიღებული რეკომენდაციები, მასწავლებელთა და მოსწავლეთა საჭიროებები.

მოვლენების სწრაფი განვითარების გამო, დრო პედაგოგებს და მოსწავლეებს ტექნოლოგიების და კონკრეტული პროგრამების მიერ შემოთავაზებული სერვისების გამოყენების შესასწავლად, ფაქტობრივად არ ჰქონიათ, მაგრამ მალევე აუღეს ალღო და დისტანციური სწავლების დასაწყისშივე უკვე ყველა სერვისს ეფექტურად და საჭიროებისამებრ იყენებენ.

დირექციის მხრიდან, მუდმივად მიმდინარეობს საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგი გაკვეთილების ჩატარების, ხარისხის, მოსწავლეთა სწრებადობის შესახებ. კვირის ბოლოს ხდება ანალიზი, გამოგვაქვს დასკვნები, რასაც შემდეგ ვითვალისწინებთ.

აუცილებლად მინდა აღვნიშნო და მადლობა გამოვუცხადო ზედა საზანოს სკოლის მოსწავლეთა მშობლებს ტექნოლოგიური მხარდაჭერისათვის. დღევანდელი გართულებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, თითქმის ყველა მოსწავლესთან გვაქვს ინტერნეტკომუნიკაცია. დამერწმუნეთ, ალბათ, რომ არა ეს, მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, უძლურნი აღმოვჩნდებოდით ამ გამოწვევის წინაშე.

მოგეხსენებათ, ამ ეტაპზე სკოლაში სასწავლო ეტაპი არ მიმდინარეობს, მაგრამ სკოლა ერთჯერადად მთლიანად დამუშავდა სპეციალური ხსნარით, ხოლო ადმინისტრაციული ნაწილი პერმანენტულად მუშავდება სადეზინფექციო სითხით. ვიცავთ ყველა იმ რეგულაციებს, რომლებიც დადგენილია შესაბამისი ბრძანებებით.

მიუხედავად იმისა, რომ 2019 –2020 სასწავლო წელი ჯერ არ დასრულებულა, უკვე ვემზადებით სექტემბრისათვის. სკოლას მომარაგებული აქვს სადეზინფექციო ხსნარები, სარეცხი და საწმენდი საშუალებები. იგეგმება ახალი სველი წერტილების მოწყობა, რათა მაქსიმალურად ვიყოთ დაცული სხვადასხვა ინფექციური დაავადებისაგან და უსაფრთხოდ წარიმართოს განახლებული სასწავლო პროცესი.

და ბოლოს, მიუხედავად ამ გამოწვევისა, დისტანციურად სწავლების დროს მიღებული და დაგროვილი გამოცდილება, ვფიქრობ ეფექტურად იქნება გამოყენებული პედაგოგების მიერ აქტიურ სასწავლო პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სკოლები სწავლების ახალ მეთოდებზე გადავიდა, შენარჩუნდა სწავლების უწყვეტობა, მოსწავლეები გადავიდნენ შემდეგ კლასებში, აკადემიური წელი არ გამოცხადდა და გამოწვევას თერჯოლამაც გაუძლო.

გააჩნია თუ არა დისტანციურმა სწავლებამ უკეთესი შესაძლებლობები ძნელი სათქმელია, დაირეკება თუ არა სკოლებში სასექტემბრო ზარები დამოკიდებელი იქნება იმაზე, თუ როგორი მდგომარეობა იქნება პანდემიის გავრცელების და ჯანდაცვის რეკომენდაციები.

ჟუჟუნა ცხადაძე

5 ივნისი—გარემოს დაცვის დღე

დაგვერწმუნებით, მნიშვნელოვანი თარიღია!

დავიცვათ დედა-ბუნება, მოვეფეროთ, მივესათუთოდ... უკეთესს რას გავუკეთებთ მას და... უპირველესად ჩვენსავ თავს! „შევუქმნათ ადამიანებს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო“ ეს გახლავთ გარემოს დაცვის შესახებ კანონის ძირითადი ლაიტმოტივი.

სხვა საკითხია ჩვენთან ან უცხოეთში როგორ არის ამ მხრივ საქმე?

ალბათ, არც ისე დამაიმედებლად. სიტყვა და საქმე შიშობენ ერთმანეთთან მიახლოებას. დასამალი როდია (ვერ დავმალავთ, თორემ კი), რომ მთელ პლანეტაზე მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობა შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს.

რა ვიღონოთ?

ჯერჯერობით დამაიმედებელი პასუხი არ გვიჩანს.

ვკრძალავთ გარემოს მიმართ ტლანქ ქმედებებს, მაგრამ ვაგებთ ფეროშენადნობთა ქარხნებს; მდინარეებს ვატანთ დღის საყოფაცხოვრებო ნარჩენებს; ვრგავთ ვარდყვავილებს, მაგრამ... მათ სუნთქვა უჭირთ. ვშიშობთ, რომ 21-ე საუკუნე არ გვაპატიებს ბუნებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას. საქმე კი ადგილიდან არ იძვრის!

რა თქმა უნდა, უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია ქალაქსა და სოფლებში სპეციალური ყუთების დადგმა და ნაგვის ყოველდღიური გატანა, მაგრამ, არცთუ შორს არსებული ღია ნაგავსაყრელებიდან მძიმე ჰაერი თუნდაც ნაწილობრივ—ისევ „მშობლიურ“ ადგილებს უბრუნდება.

პატარ-პატარა ღელე-მდინარეები და მათი სანაპიროები სავსეა ეკალ-ბარდებისაგან გზაგადაღობილი სიბინძურის მოზაიკით...ეს მარტო ჩვენი სატკივარი არ არის. როგორც თვითმხილველები მოგვითხრობენ, საქმე არც უცხოეთშია მაინცდამაინც დალაგებულად.

დიახ, ეს გლობალური საკითხია. კორონავირუსის არ იყოს, საყოფაცხოვრებო მტვერი ყველგან არის, ქარი ყველგან დააქანავებს ათას სახიერ თუ უკვე გაუსახიერებულ ნივთმტკიცებულებებს...

21-ე საუკუნე უკვე აღარ გვითმენს დაუდევარ ქმედებებს... რა თქმა უნდა, არ ვიცით კორონავირუსი ხელოვნური პროექტია, თუ გაგულისებული ბუნებისაგან გადმოგდებული ხელთათმანი, მაგრამ მათ შორის, ახლო „ნათესაურკავშირების“ არსებობის ალბათობა ამ უხილავ მწერსა და ხილულ რეალობას შორის—ეჭვს ბადებს. საფუძვლიან ეჭვს...

ფაქტია, რომ არა მხოლოდ ჩვენს სინამდვილეში, არამედ საერთოდაც იშვიათად გააჩნიათ საკანალიზაციო სისტემები—საკანალიზაციო კოლექტორები, ანუ შესაბამისი ინფრასტრუქტურა. აქედან გამომდინარე, მდინარეებს საკუთარი „ზურგით“ ჩააქვთ ზღვებსა და ოკეანეებში „ძვირფასი“ ტვირთი, რომლის დიდ ნაწილს ის თევზები მიირთმევენ, რომლებიც შემდეგ სუფრებზე ხვდებიან დელიკატესის სახით!

ადამიანები სრულად ვერ ვაცნობიერებთ ამ ყველაფერს.

ვერ ვიტყვით, რომ ყველამ ყველა საქმე გვერდზე უნდა გადავდოთ და ქუჩა-ქუჩა, უბან-უბან, ეზო-ეზო იღლიაში ცოცხამოდებული ვირბინოთ და აღარც ქარხანა ავაშენოთ და აღარც ასფალტი დავაგოთ, მაგრამ მეტი რომ გვმართებს გარემოსთან, მის დაცვასთან მიმართებაში—ეს სრული ჭეშმარიტება გახლავთ!

ჩვენი გაზეთის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო და რჩება სისუფთავე.

მოწოდება მარტივია—ყველამ, როგორც ერთმა ვიზრუნოთ ჩვენი საცხოვრისის სისუფთავისათვის. სუფთა გარემო ქმნის შრომის განწყობას. ეს არახალი თემაა!

რიგითი ადამიანები ვერ გადავწყვეტთ გლობალურ პრობლემას, მაგრამ თუ ყოველი მცხოვრები თავის სამყოფელს მუდამ სუფთად იქონიებს, ეს საერთო საქმეს წაადგება, გარემო „თვალში გამოიხედავს“.

მოქალაქეებს გვჩვევია ხელისუფლებისკენ ხელის გაშვერა და ეს ბუნებრივიც არის, მაგრამ საყოველთაო პრობლემის მიმართ მეტი გარჯილობა რომ გვმართებს, ეს ფაქტი თვითონვე „გვიხსნის“ ყველაფერს.

კორონავირუსმა რომ მწარედ უჩხვლიტა მთელ პლანეტას—ეს უნდა გავითვალისწინოთ!

სათქმელი ძალიან ბევრია.

საკეთებელი კი—უფრო მეტი.

გავერთიანდეთ ჩვენი ლამაზი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გვახარებს დიდათ, რომ მიმდინარე წელს ამ მიმართებით ბევრი რამ გაკეთდება მუნიციპალიტეტის სოფლებში.

ცხადია ახალ არქიტექტურას დაიმშვენებს ჩვენი ქალაქი.

სიკეთეში, მშვიდობაში დავუდგეთ ერთმანეთს.

ზარი-სამარადჟამო ხსოვნის მაუწყებელი... ლიანა ცუცქირიძე-მუჯირისა

მოულოდნელი უბედურება ჯერ გაკვირვებას იწვევს, მერე სევდას, უფრო მერე კი დიდ მწუხარებასა და სინანულს. სინანულს იმაზე, ვინც იყო და წავიდა, ვინც აღარ იქნება არასოდეს...

ტკივილითა და ნაღველით შეზავებულ განწყობილებას მხოლოდ რამდენადმე თუ ანელებს იმის გაფიქრება, რომ ჩვენ ადამიანურ ვალს ვიხდით მათ წინაშე, ვინც აუხსნელი ბედისწერის გამო ერთი ნაბიჯით გაგვასწრო და ახლა მათი ლანდები სევდანარევი ღიმილით გვიცქერენ გაღმა სამზეოდან... და მაინც, გული გონებას ეურჩება და ვერაფრით იჯერებს დაუჯერებელს...

მოულოდნელი იყო თქვენი გარდაცვალება, ისევე, როგორც თქვენი ავადმყოფობა, ჩვენო ლიანა მასწავლებელო. ერთი წლის წინ სკოლიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღეთ... ვინ იფიქრებდა, რომ ის წასვლა სამუდამო განშორების მაუწყებელი იქნებოდა ახალთერჯოლის საჯარო სკოლასთან, პედაგოგიურ კოლექტივთან, მოსწავლე-ახალგაზრდობასთან, ხოლო ბოლო გაკვეთილის ზარი-მარადიულობაში გარდასვლისა და ჩვენს გულებში ხსოვნის სამარადჟამოდ დამკვიდრების მაუწყებელი. თქვენ ხომ სიდარბაისლით, ინტელექტით, განათლებითა და ავტორიტეტით გამორჩეული პიროვნება იყავით. კრძალვითა და რუდუნებით ასწავლიდით მომავალ თაობებს შექსპირისა და დიკენსის ენას, უღვივებდით სიყვარულს ევროპული კულტურისადმი. ბედნიერები ვართ, რომ წლების განმავლობაში გვქონდა უშუალო ურთიერთობა, როგორც გულისხმიერ აღმზრდელთან, ერთგულ მეგობართან. მრავალშვილიანი ოჯახის დედაბოძი ჩინებულად უთავსებდით ერთმანეთს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობას. ორივე სფეროში წარმატებით იღვწოდით. შედეგიც თვალსაჩინო იყო... გმადლობთ ამ კეთილშობილური ღვაწლისათვის, თქვენ მიერ განვლილი ნათელი გზისათვის, მეგობრული და კოლეგიალური ურთიერთობისათვის, ყველას ჭირისა და ლხინის გაზიარებისათვის. გვაპატიეთ, ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, ჯეროვნად თუ ვერ შევძელით თქვენი პატივისცემა... განისვენეთ მშვიდად, ჩვენო უფროსო მეგობარო და კოლეგავ. უფალმა უწინამძღვროს თქვენი წმინდა სულის სიმშვიდეს ზეციურ სამყაროში, სადაც მართალნი განისვენებენ.

მშვიდობით...

ახალთერჯოლის საჯარო სკოლის დირექცია
და პედაგოგიური კოლექტივი

კროსვორდი



ბუნება მბრძანებელია

1. რეალურად არსებული, ორგანული და არაორგანული სამყარო. 2. ბუნების დიდი მეგობარი, მებაღე აგრონომი. 3. ჩხარელი აგრონომ-სელექციონერი. 4. სიმღერის „ტყე შეუნახე შვილებსა“ ავტორი. 5. ნადირობის (თევზაობის) წესების დამრღვევი პირი. 6. ბუნების დიდი მგოსანი. 7. აჯამეთის ტყე როგორია? 8. სახელგანთქმული მინერალური წყალი. 9. დამსახურებული პედაგოგი, ბუნების ქომაგი. 10. იშვიათი ხე, რომელიც საქართველოში ხარობს. 11. საგანგებოდ გამოყოფილი ადგილი იშვიათ ცხოველთა ან მცენარეთა მოსაშენებლად ან დასაცავად. 12. ბალნეოლოგიური კურორტი. 13. ხის ქერქქვეშ არსებული მკვრივი ნაწილი. 14. მგალობელი ჩიტი. 15. ცნობილი მებაღე, მეყვავილე, იუმორისტი და ა.შ. 16. ნაყოფიერი ვაკე ადგილი. 17. ცნობილი კურორტი. 18. ეს ცნობილი მდინარე რამდენიმე შენაკადისგან შედგება. ყოველ მათგანს საკუთარი ადგილმდებარეობის მიმნიშნებელი სახელწოდებითაც მოიხსენიებენ...

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები: 1. გამყრელიძე. 2. პანდემია. 3. ცერცვაძე. 4. ვირუსი. 5. კორონა. 6. რეკომენდაცია. 7. რატიანი. 8. ლაბორატორია. 9. ენდელაძე. 10. ეზუგბაია. 11. პრევენცია. 12. ტენდენცია. 13. კარანტინი. 14. ლუგარი. 15. ტესტი. 16. გრიპი.

განწყობისთვის

სასწრაფოდ დარეკეთ სასწრაფოში!..

თერჯოლაში ახალი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის გახსნა უკვე გამცნოთ ჩვენმა გაზეთმა. კიდევ ერთხელ გილოცავთ. სასიამოვნო მოვლენა ყოველთვის შობს სასიამოვნო განწყობას. წინამდებარე სტრიქონებიც ამ განწყობით იწერება:

—ალო, სასწრაფოა?

—დიახ, გისმენთ.

—ახალი სასწრაფო ხო?

—დიახ, ახალი.

—ბოდიში, რომ გაწუხებთ.

—არა, რას ბრძანებთ, გვითხარით სწრაფად—რა ხდება და თქვენი მისამართი.

—საერთოდ რა ხდება თუ ჩემ ამბავს კითხულობთ?

—თქვენ ამბავს ვკითხულობ, რა გჭირთ?

—ახლა, ისეთი რა უნდა მჭირდეს, უმადობა მაწუხებს ხოლმე ხანდახან. მაგრამ ვერ დაგიმალავთ, რომ უფრო მეტად თქვენი ახალი ცენტრის დათვალიერება მაინტერესებდა, სამოცდაათ წელს გადაცილებული ვარ, ეზოს გარეთ შიშით ვერ გამოვდივარ კორონამ არ დამჩხვლიტოს. ხოდა, ვიფიქრე სასწრაფოს გამოვუძახებთქო...

—ე.ი. ჩვენი გაცნობა გინდათ არა? მაშინ გვითხარით თქვენი მისამართი, ქუჩა, ნომერი, უბანი და აუცილებლად მოგაკითხავთ. თქვენ აუცილებლად გჭირდებათ ჩვენი დახმარება!

—ე.ი. რა მჭირს, მე უნდა აგიხსნათ? სად ვცხოვრობ ესეც მე უნდა გითხრათ? კარგით ბატონო, ყველაფერზე დაგიკრავთ თავს ლევან რატიანივით, მაგრამ ერთი, ეს მითხარით—ვთქვათ არ ვარ სამოცდაათწელს გადაცილებული, ვარ 69 წლის და უცებ გადამვარდა გულზე და შემთხვევით გადავდგი ფეხი ჭიშკრის გარეთ... როგორ მოვიქცე? მირჩიეთ...

ნუგზარ გამყრელიძე

მეგობრის გაცილება
გურამ კიკნაძე

გაცილება! ჩვეულებრივ, ასე ვიწყებთ ხოლმე... თითქოს არაფერი...

არადა!..

გურამ, ერთი წელი გავიდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც 80 წლის იუბილე გადაიხადე მეგობრებითა და ახლობლებით გარემოცულმა. ხარობდა ოჯახი, მოსიყვარულე მეუღლე ლიანა გიორგაძე, შვილები, ელისო, მაკა, ეკა...

ლამაზი, დაუვიწყარი დღე დაგვიტოვე.

რამდენი რამ გავიხსენეთ. ვიხუმრეთ... ვის ახსოვდა დაღლილი 80 წელი!

ჰო, თითქოს გუშინ იყო!

ახლა?

სწორად უთქვამთ, რომ ცხოვრების ყოველი დღე როდია მზიანი; რომ ცხოვრება ჭადრაკის თამაშია, ჰო, ჭადრაკის თამაში! ხარობ, როცა იმარჯვებ; დამარცხება გაფორიაქებს და მოთმინებას გკარნახობს.

ჩვენ ჭადრაკმა გაგვაცნო, დაგვამეგობრა და „გადაგვკიდა“ ერთმანეთს... ლამაზი ზღაპარივით იყო ეს ყველაფერი. ამიერიდან ტკივილისმომგვრელი მოგონებები შეგვახსენებენ თავს, მათ ვერაფრით გავაფერადებთ; ეს გარდასული რომანტიკაა უცნაურობებით გაჯერებული. აი, თუნდაც საკარანტინო რეჟიმის გამო შენი საუფლო გზაზე გაცილება სამეგობროსა და საზოგადოების გარეშე!

გურამ, არ დამიღონდე, მთავარია, რომ იყავი ის, როგორიც იყავი, პატიოსნებით სავსე, გულწრფელი, ყურადღებიანი და მზრუნველი მეუღლე, მამა. დიდი სამეგობროს პატრონი; სრულიად თავისუფალი ყოველი ავისგან.

როცა ფინიში ახლოვდება და განგებისგან ნაბოძებ ყოველ დღეს ხელის თითებზე ვითვლით—გარე სამყაროს მშვენიერებითა და უკვე მსუბუქი სევდით დამძიმებული თითქოს გვახსენებს ბრძენკაცის ბოლო ღაღადისს—„შეჩერდი წამო!“ და ვლამობთ კიდევ ერთი დღით შევივსოთ სიცოცხლე, კიდევ ერთხელ დავტკბეთ მზის ამოსვლით...

ასეთი ყოფილა ეს წუთისოფელი. უნდა დავნებდეთ, რა გაეწყობა, გურამ.

შეხვედრამდე...

***

ჩვენო ლიანა, ბედნიერი ხარ, რომ შენ და გურამმა დიდი სიყვარულის თანხლებით იცოცხლეთ და იცხოვრეთ ამ ლამაზ დედამიწაზე. სამწუხაროდ, ამიერიდან ახალ რეალობებთან მოგიწევს შეპირაპირება. უნდა დაუდგე. შენ ამას შეძლებ. შვილებისთვის, თვითონ გურამისთვის შეძლებ. გვჯერა შენი.

თერჯოლელი მეგობრების სახელით
ნუგზარ გამყრელიძე

1 ივნისი
ეს დღე თქვენია... მომავალიც თქვენია...

ყველაზე დიდი ხიბლი და სიხარული დედამიწაზე, ბავშვების ტიკტიკითა და ღიმილით იწყება. ისინი ალამაზებენ სამყაროს და ყოველდღიურობას, შესაბამისად, ადამიანთა უპირველესი საზრუნავიც პატარები არიან. სიცოცხლის არსი და აზრიც მათი მოვლა-პატრონობა, გაზრდა და ცხოვრების გზაზე ღირსეულ ადგილზე დაყენებაა. მომავალიც ხომ მათ ეკუთვნით...

ახლა, როცა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ანუ პატარების ნავთსაყუდელის, საბავშვო ბაგა-ბაღის კარები გამოკეტილია და პატარებიც შიდა „საკარანტინო“ ზონაში იმყოფებიან, მათ და მათ მშობლებს უფრო მეტი დრო და საშუალება აქვთ ერთად გაატარონ დღეები, თვეები და... ვინ იცის როდის გადაივლის პანდემია... რომ მეორე მონატრებულ მშობლიურ „ოჯახებს“ დაუბრუნდნენ და თანატოლებთან, აღმზრდელ-პედაგოგებთან თამაშითა და სასწავლო პროცესებში ჩართვით ისიამოვნონ...

ახლა ის დროა, წესით, გამოსაშვები საღამოები, შემაჯამებელი პრეზენტაციები და ა.შ. რომ უნდა იმართებოდეს, თუმცა რას იზამ, „კოვიდ-19“-ს თავისი „თამაშის წესები“ აქვს და მარტივადაც არ არის საქმე...

აღმზრდელ-პედაგოგები და მშობლები ახლა მუშაობას „შინ დარჩენილ“ ბავშვებთან რეკომენდაციის მიხედვით აწარმოებენ. მაგრამ, დისტანციური სწავლება რა თქმა უნდა ვერ შეცვლის იმ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესებს, რომელიც პატარებს საბავშვო დაწესებულებებში უნდა მიეღოთ, თუმცა გარკვეულწილად დაეხმარება მათ და მათ მშობლებს სახალისოდ გაატარონ დღეები...

ხელოვნებასთან ზიარება ამ დაწესებულების ერთ-ერთი უპირველესი ფუნქციაა, ბავშვებს საერთოდაც ძალიან უყვართ ხატვა. ჰოდა, თემატიკის მიხედვით მათ ახლა სახლში უტარდებათ ხატვის „გაკვეთილები“, სახლში ხატავენ და სიამაყითაც გთავაზობთ მათ მიერ შექმნილ ნამუშევრებს... და თუ როგორ ასრულებენ დავალებას, მათი პატარა ხელებით შექმნილი ამ ნამუშევრებიდან გაიგებთ.



შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპოდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@mail.ru**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2

დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872